# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 23 ოქტომბერი 2006 №245 (2867) ფასი 50 თეთრი




# გოოოოლ!
## კობიაშვილი, სირაძე, კანკავა, მოდებაძე



# ისტორია არ სველდება
## რეალი სიხარულის თქეშში




AFP მადრიდიდან

# ALONSOLO!
## და მაინც: იყავით შუმად! შუმი წავიდა



გუშინ სან პაულუს „ინტერლაგუშის“ ტრეკზე უდიდესი საფორმულო ეპოქა დასრულდა — დასრულდა ცოტა უცნაურად, მიხაელ შუმახერი პოდიუმზე ვერ შედგა.

37 წლის დიადმა შვიდგზის ტრიუმფატორმა მისთვის არადჩასაგდები ვიცეჩემპიონობით დაასრულა თავისი ლეგენდარული კარიერა.

შუმახერი წავიდა, ფერნანდო ალონსო კი ორგზის ჩემპიონია. 25 წლის ესპანელმა ალალად და უსაყვედუროდ მოიგო მეორე ტიტული და ასე, ჩემპიონის რანგში მიაშურა „რენოდან“ „მაკლარენს“.

გაისად შუმი აღარ იქნება, იქნებიან ალონსო „მაკლარენით“ და კიმი რაიკონენი... შუმახერის „ფერარით“.

გაისად უშუმახერო და უცნაური სეზონი იქნება...



ესპანელი ოვიედოში: ფერნანდო ალონსოს ქალაქი სიხარულმა წალეკა

AFP ოვიედოდან

# აი, ეს მოგვწონს...

## ქართველების ფონადი ევროგოლები




**მაგრამ** მოიბარაქეს ქართველმა ლეგიონერებმა ამ უქმეებზე — განსაკუთრებით კი „გერმანელებმა" და „უკრაინელებმა" იყოჩაღეს...

**ლევან კობიაშვილმა** პირველი საამსეზონო ბუნდესგოლი მიითვალა — „შალკემ" 2:1 სძლია „ჰანოვერს", რითაც 16 ქულას მოუკრა პირი და „ვერდერთან" ერთად ლიდერობს ცხრილს. კობიმ 27-ე წუთზე ბრაზილიელი ლინკოლნის პასის შემდეგ ერთი შეხებით გაგზავნა ბურთი კარში და „აუფ შალკეს" ტაბლოზე 2:0 აანთებინა. ჩვენიანმა მატჩი სრულად ჩაათამაშა და ამჯერადაც მარცხენა ნახევარმცველად გაისარჯა.

მეორებუნდესლიგელ ქართველებსაც კარგი ტური ჰქონდათ: **დავით სირაძემ** შინ „ბრაუნშვაიგთან" მე-60 წუთზე გახსნა ანგარიში შორეული დარტყმით — აუე-მ 3:0 მოიგო, სირაძე კი 87-ე წუთზე შეცვალეს.

პირველი საამსეზონო გამარჯვება მიითვალა „ფრაიბურგმა" — 2:0 „ბურგჰაუზენთან". ორივე საგოლე პასი **ალექსანდრე იაშვილისა** იყო, რომელმაც სრულად ითამაშა, **ოთარ ხიზანეიშვილი** კი 59-ე წუთზე გამოჩნდა მინდორზე.

**შოთა არველაძემ** საგოლე პასი გაახერხა პსვ-სთან 1:3 წაგებულ შეხვედრაში. „ალკმაარი" ამ დროს უკვე 0:3-ს აგებდა, შოთამ კი 90 წუთი იბურთავა — ჩვენებურის გუნდმა სწორედ ეინდჰოვენელებს გადაულოცა მეორე ადგილი და მესამეზე ჩაჩოჩდა.

ერთი გოლი **ოთარ მარცვალაძემაც** გამოაცხო, ოღონდ კიევის „დინამოს" დუბლებში. ჩვენიანმა 80 წუთი ითამაშა და 74-ე წუთზე კიეველთა მეოთხე გოლიც მან ჩაიწერა. **დავით იმედაშვილმა** კი მატჩი სრულად ჩაატარა, საგოლე პასიც გაჩარხა და, „დინამოს" ვებგვერდის ცნობით, საკმაოდ აქტიურადაც გარჯილა.

რუსეთში ყაზანის „რუბინმა" სენსაციურად, 5:0 მიანგრია სტუმრად „მოსკვა", ქართველთაგან კი მხოლოდ **ლაშა სალუქვაძემ** ითამაშა. **ნუკრი რევიშვილი** და **გიორგი ქინქლაძე** სათადარიგონი იყვნენ.

უკრაინული ტურის გმირი კი **ჯაბა კანკავაა**. როგორია, კიევის „არსენალმა" დონეცკში თვით „შახტარი" დააჩოქა 1:0 და ეს ერთადერთი გოლი 64-ე წუთზე ჯაბამ შეაგდო საჯარიმოს გარედან ძლიერი დარტყმით. „შახტარის" სტუმრად ძლევა უკრაინაში საარაკო ამბავია და მხოლოდ კიევის „დინამო" თუ ბედავდა ამას...

კიდევ ერთი ქართული გოლი და ისიც გადამწყვეტი — ზაპოროჟიეს „მეტალურგმა" შინ 1:0 აჯობა „ტავრიას" და მე-16 წუთზე **ირაკლი მოდებაძემ** შეაგდო: მეკარის მოგერიებულ ბურთს დაამატა. ირაკლიმ სრულად ითამაშა, **დავით კვირკველიას** კი ტრავმა აწუხებს.

ინგლისში იღბლიანი სერია შეუწყდა „ბლექბერნს", რომელმაც შინ „ბოლტონთან" 0:1 დათმო. **ზურაბ ხიზანიშვილმა** შეუცვლელად ითამაშა და პირველ ტაიმში ყველაზე ნაღდი საგოლე მომენტი სწორედ მას ჰქონდა — ჩვენიანის თავურზე ბოლტონელთა მეკარე იასკელაინენმა მკვდარი ბურთი გამოაძრო.

**ილია ნანოგაშვილი**



# გოლი მინგეს თვალწინ

გუშინ დავით სირაძემ მიმდინარე მეორე ბუნდესლიგაში თავისი პირველი გოლი გაიტანა — აუე-მ „ბრაუნშვაიგს" 3:0 სძლია. როცა სირაძეს ერცგებირგეში შევეხმიანეთ, ჯერ გატანილ გოლზე ვკითხეთ...

— დაახლოებით ოცი მეტრიდან დავარტყი და ბურთი ცხრიანში აღმოჩნდა. მეორე საგოლე კომბინაციაშიც მივიღე მონაწილეობა. გოლის გატანა მატჩის პირველ წუთზეც შემეძლო, მაგრამ თავით ოდნავ ავაცილე კარს.

**— რა პოზიციაზე ითამაშე?**

— ცენტრფორვარდად. აუე ახლა ორი ფორვარდით თამაშობს, თუმცა, როცა სამით თამაშობდა, მაშინაც ცენტრფორვარდი ვიყავი.

**— აუე-ს ყველაზე სახელიანმა ფორვარდმა ანჟეი იუსკოვიაკმა რატომ არ ითამაშა?**

— მწვრთნელი არ ათამაშებს. თავდასხმაში ამ ბოლო დროს მე და ჩეხი ტომაშ კლინკა ვართ.

**— ეროვნულ ნაკრებში კლაუს ტოპმიოლერს ჯერ არ მიუწვევიხარ, თუმც შევიტყვეთ, რომ აუე-ს მწვრთნელი გერდ შედლიხი ბოლო დროს კარგ რეკომენდაციას გიწევს ნაკრების მწვრთნელებთან...**

— ახლა მართლა კარგ ფორმაში ვარ და 15 ნოემბერს ურუგვაისთან მატჩისთვის ველი ნაკრებში გამოძახებას.

**— ნაკრების მწვრთნელთაგან არავინ შეგხმიანებია?**

— „ბრაუნშვაიგთან" მატჩს რალფ მინგე ესწრებოდა. თამაშის შემდეგ შემხვდა და წარმატება მომილოცა, მეტი არაფერი უთქვამს.

**დავით თავართქილაძე**

## საქართველოს ჩემპიონატი

### პირველი ლიგა

### I წრე. 12 ტური

**გაგრა 3:0 სამტრედია**

**მაღაროელი 2:0 მეშახტე**

**დინამო 2 2:0 ოლიმპი**

**მერცხალი 2:3 მეშაქრე**

**ნ. დინამოელი 1:2 გურია**

**მესხეთი 2:1 ვიტ ჯორჯია 2**

**ზესტაფონი 2 0:0 მგლები**

**რაჭა 1:1 სპარტაკი**

**ამერი 2 3:1 ჩიხურა 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მგლები | 12 | 10 | 2 | 0 | 21:3 | 32 |
| მესხეთი | 12 | 8 | 2 | 2 | 23:8 | 26 |
| გაგრა | 12 | 7 | 1 | 4 | 19:12 | 22 |
| მეშაქრე | 12 | 6 | 4 | 2 | 15:12 | 22 |
| ოლიმპი (თბ) | 12 | 6 | 2 | 4 | 19:13 | 20 |
| ნ. დინამოელი | 12 | 6 | 2 | 4 | 18:12 | 20 |
| დინამო 2 | 12 | 5 | 2 | 5 | 18:10 | 17 |
| ზესტაფონი 2 | 12 | 4 | 5 | 3 | 13:11 | 17 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 12 | 4 | 4 | 4 | 21:10 | 16 |
| ჩიხურა 2 | 12 | 4 | 3 | 5 | 12:14 | 15 |
| მეშახტე | 12 | 4 | 2 | 6 | 14:17 | 14 |
| სპარტაკი | 12 | 4 | 2 | 6 | 9:18 | 14 |
| მაღაროელი | 12 | 3 | 5 | 4 | 14:14 | 14 |
| ამერი 2 | 12 | 3 | 4 | 5 | 16:17 | 13 |
| სამტრედია | 12 | 2 | 4 | 6 | 14:25 | 10 |
| მერცხალი | 12 | 2 | 3 | 7 | 11:24 | 9 |
| რაჭა | 12 | 2 | 3 | 7 | 10:25 | 9 |
| გურია | 12 | 2 | 2 | 8 | 12:31 | 8 |

## საქართველოს 18 ჩემპიონატი

### უმაღლესი ლიგა — I წრე. 9 ტური

# სამმაგი დათუნაიშვილი

**დავით თავართქილაძე**

მცხეთა. 21 ოქტომბერი. 15 საათი. არმაზი. 400 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 3:2 ჩიხურა**

1:0, 2:0 დათუნაიშვილი (6, 41), 2:1 ბუცხრიკიძე (45), 2:2 კაკალაძე (55), 3:2 დათუნაიშვილი (64)

**ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, ჯაფარიძე, ა. კვახაძე, კობიაშვილი, გველესიანი, დილმელაშვილი, გ. დათუნაიშვილი, კვალინაძე (ლ. რაზმაძე 60), ფეიქრიშვილი, ბერიაშვილი (ინჯგია 78), გ. მელქაძე (ლუჭაშვილი 68)
*სათადარიგონი:* ღურბელეიშვილი; თ. ლონლაძე, კაიშაური, ადამაძე
**მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე

**ჩიხურა:** მამალაძე, მემარნიშვილი, ს. ბურნაძე, ლ. მერებაშვილი, თედორაძე, ბუცხრიკიძე, მესხი, გ. მანწკავა (ჩხაიძე 64), მარგალიტაძე (მიქაძე 72), ჩომახიძე, კაკალაძე
*სათადარიგონი:* დოლაძე; ლ. ვაშაკიძე, თავბერიძე, ბრეგვაძე, სტეფანიშვილი
**მწვრთნელი:** ხვიჩა ქასრაშვილი

**გაფრთხილება:** მანწკავა (23), თედორაძე (52), ფეიქრიშვილი (75), მიქაძე (88)

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი; ა. გაბრიაძე, ა. ბერაძე, ა. გუნთაძე

**საყრდენ** ნახევარმცველს ჰეთ თრიქი შეესრულებინოს, ძალიან იშვიათია და საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ასეთი რამ მანამდე არ მომხდარა — გიორგი დათუნაიშვილი ამ საქმეში პიონერი გამოდგა.



„ვიტ ჯორჯიას" აკლდნენ დათუნაიშვილის დისკვალიფიცირებული უფროსი ძმა პაატა, გრიპშეყრილი ნიკა გელაშვილი და გაციებული ზაზა სახოკია.

მიუხედავად ასეთი დანაკლისისა, „ვიტ ჯორჯია" მაინც ფავორიტი იყო „ჩიხურასთან", თუმცა საჩხერელების დამარცხება ერთობ გაუჭირდა.

...მაღალი ბურთი გიორგი ბერიაშვილმა მოიგდო, გიორგი ფეიქრიშვილმა კი დათუნაიშვილს დაუგორა და ჰეთთრიქოსანმა 16-17 მეტრიდან მოუძებნა ლრიჭო ზურაბ მამალაძის კარს — 1:0.

„ჩიხურას" თამაშის დალაგება, ბურთის გაგორება უჭირდა, საჩხერელები გრძელი გადაცემებითაც ცდილობდნენ ფონს გასვლას, მაგრამ ვერც ამაში ყოჩაღობდნენ. ბურთს უფრო მეტად „ვიტ ჯორჯია" ფლობდა და უფრო მწვავედაც უტევდა. „ჩიხურამ" ერთი ხიფათი მაინც შექმნა მეტოქის კართან — შოთა ჩომახაძის შორეული ჯარიმა გრიგოლ ბედიაშვილმა გააუვნებლა.

...ბერიაშვილმა ერთხელაც გაამწვავა ვიტელთა შეტევა, მარცხნიდან ჩააწოდა კარის გასწვრივ, „საჩხერეს" დაცვა ბრინჯივით დაიბნა, არეულობაში კი დათუნაიშვილმა იყოჩალა და „ვიტ ჯორჯიას" უპირატესობა გაზარდა.

მეორე ტაიმისთვის 2:0 რომ ყოფილიყო, მატჩის სიუჟეტიდან გამომდინარე, „ჩიხურას" თამაშის შემობრუნების მისხალი შანსი არ ექნებოდა, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლო წუთზე ერთი ბურთი გაქვითა — ჩომახაძემ კუთხურიდან ჩააბზრიალა ბურთი ვიტელთა საჯარიმოში და მიხეილ ბუცხრიკიძემ ფეხით გაიტანა — ეს „ჩიხურას" პირველი საგარეო გოლი იყო მიმდინარე ეროვნულში. ისიც სათქმელია, რომ ბუცხრიკიძემ პირველად ითამაშა სასტარტოში.

დაიწყო მეორე ტაიმი და ისევ „ვიტ ჯორჯიამ" შეუტია მწვავედ — ბერიაშვილმა ცაციათი მამალაძეს შეაწყვიტა ბურთი. „ჩიხურა" კი უფრო ყოჩალად მოქმედებდა, ვიდრე პირველ ტაიმში. საჩხერელები ბურთის ფლობის ხანგრძლივობით დიდად აღარ ჩამოუვარდებოდნენ სტუმრებს და ერთ-ერთ კონტრშეტევაზე გოლსაც გამორჩნენ — ჩომახაძემ ჩინებული პასი გაუჭრა მეტოქის საჯარიმოში შეჭრილ მიხეილ კაკალაძეს, რომელმაც შორეულ კუთხეში უზუსტესად დაურტყა ბედიაშვილს.

ვითარება დაიძაბა. გამოჩნდა, რომ „ჩიხურას" ძლევა „ვიტ ჯორჯიასთვის" საკმაოდ ძნელი იყო. ვიტელებს შტურმისმაგვარი არ მოუწყვიათ „ჩიხურასთვის", არც დიდი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ მასპინძლები სტუმრებზე უკეთ თამაშობდნენ და შედეგი ლოგიკურად მიგვაჩნია — ფეიქრიშვილმა მარჯვნიდან ჩააწოდა, დათუნაიშვილს კი „ჩიხურას" საჯარიმოში ბურთის მკერდზე გაჩერებაც და მიწაზე დაუშვებლად კარში დარტყმაც აცალეს და 3:2.

ყველაფერი აქ არ დამთავრებულა. ბოლო წუთებზე „ჩიხურას" ერთხელაც შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ გიორგი მიქაძემ 6-7 მეტრიდან ხარიხას გადაავლო ბურთი.

გიო ახვლედიანის სვეტი

# ბლახინ!!!

ეხლა უნდა ვთქვა, სულ პირველი რა გავიგონე სტადიონზე.

ეს იყო, ალბათ, 75 წელი. იმიტომ, რომ იყო „ლოკომოტივის“ სტადიონი. შეიძლება 74-იც იყო.

მივედით სტადიონზე.

ვიჯექი ჩემთვის, გატრუნული. გუნდები მოედანზე გამოვიდნენ.

ჩვენგან ორიოდე რიგით წინ წამოდგა კლეჩატსაროჩკიანი, თმაშევერცხლილი ბიძა, რომლის კეფა ახლაც მახსოვს და დასძახა:

„ბლახინ, მამა იობანა!“

ეს სიტყვები ახლაც ყურში მაქვს, თუმცა მათი მნიშვნელობა, ცხადია, არ ვიცოდი.

ჩვენთან სტადიონზე სულ იგინებოდნენ და გაურკვევლადაც ღრიალებდნენ.

ერთხელ მიშა ბერძენიშვილის წუთიერ დუმილზეც დაიღრიალა ვიღაცამ, თავისი ხმის განუმეორებლობა გამოსცადა.

საერთოდ, სამხრეთში ბევრს და პიროვნულად იგინებიან სტადიონზე. ჩვენგან ერთი რამ განასხვავებთ, რომ თავისიანებს არ აგინებენ. სხვაფრივ, გვარიანად, გინდა ესპანეთში, გინდა სხვაგან.

ოღონდაც, გინება არსად ისეთი პიროვნული არ არის, როგორც ჩვენთან. რახან ბევრგან და უმეტეს ადგილებში სტადიონის ცნება პირობითია, ამიტომ საქმე ისე გამოდის, თითქოს ეზოს ფეხბურთის დროს აგინებდე ვინმეს.

წარმოიდგინე, რომ ეზოში ფეხბურთს თამაშობ და სამიოთხი ვინმე გიყურებს. გაიტანე გოლი და იმათ კიდევ გინება დაგიწყეს, ჩვენს ძმაკაცებს რატო გაუტანეო.

ხო მაგარი ამბავი ატყდება?! დედა შვილს არ აიყვანს, აგურებით იჩხუბებთ.

ჰოდა, ასეა ჩვენს სტადიონებზეც.

იდიოტობაა, რა თქმა უნდა, ადამიანს რომ იმისთვის აგინებ, რომ არსებობს.

იმ ბიძამ ბლოხინს არსებობისთვის შეაგინა, თორემ თამაში დაწყებული არ იყო.

ჩვენთან ყველაზე ცუდი ის არის, რომ ადამიანი ვერ გიხსნის, რატომ აგინებს ფეხბურთელს და მსაჯს. იმას ხომ არ გეტყვის, რომ არსებობს, მაგის გამო ვაგინებ და რაცკი რამ ჩემი ჭირი და ბოლმა მადგას, სტადიონზე უნდა გამოვისროლოო.

ამიტომ არი ასე, იგინებიან და იგინებიან, აზრისდაუტანებლად და მრავალსართულიანებს.

მაგას, მგონი, რაღაცა ჰქვია ფსიქოლოგიაში. ეგებ ფსიქიატრიაშიც ერქვას, ოღონდ მე არ ვიცი.

# საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

I წრე. 9 ტური



ყველაფერი აქედან დაიწყო...

# სიზნელე გვირაბის ბოლოს

## ალავიძე 771-ზე გაჩერდა

რუსთავი. 21 ოქტომბერი. 15 საათი. ფოლადი. 2 000 (ტევადობა 12 000)

### ოლიმპი 2:1 ბათუმი

1:0 ქებაძე (1), 1:1 მუჯირი (51), 2:1 ხოჯავა (85)

| | |
|---|---|
| ოლიმპი: მ. ალავიძე, გ. ონიანი, ხუბუა, მახვილაძე, რ. ონიანი, დვალიშვილი (გეწაძე 59), აფციაური, სეთურიძე, ქებაძე (ხოჯავა 54), სირბილაძე, კახელიშვილი (ვ. კვარაცხელია 61) | ბათუმი: თოთლაძე, ექონია, უ. ლობჟანიძე, გალოგრე, აბშილავა, ჯინჭარაძე (ფარტენაძე 21; კუნჭულია 78), ცანავა, ა. მუჯირი, კოშკაძე, ოქრუაშვილი, რ. ჯიქია (გოგოლაძე 69) |
| სათადარიგონი: ნაჭყებია; გ. თოდუა, მიქიაშვილი, მიმინოშვილი | სათადარიგონი: სომხიშვილი; ა. ბაჯელიძე, ბერაიძე, ვ. ქორიძე |
| მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე | მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე |

გაფრთხილება: ექონია (44), მახვილაძე (58, 59), აბშილავა (65), თოთლაძე (74), ხუბუა (89)

გაძევება: მახვილაძე (59), მუჯირი (59)

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; ზ. მენთეშაშვილი, ი. უკლება; დ. სანაია

ილია ნანობაშვილი რუსთავიდან

**51-Ე ᲬᲣᲗᲖᲔ** ბათუმელმა ამირან მუჯირმა 30-35 მეტრიდან ცაციათი დააქუხა და ბურთი ცხრიანში ჩააჭედა — ულამაზესი გოლი იყო და ერთგვარად ისტორიულიც: „ოლიმპის“ 19 წლის მეკარე მიხეილ ალავიძემ სეზონში პირველი ბურთი გაუშვა. ალავიძის მშრალმა სერიამ 771 წუთს გასტანა, ასე რომ, ზვიად სტურუას რეკორდამდე ხელი ვეღარ მიუწვდა.

32 წლის მუჯირმა, რომ იტყვიან, დახაზა, ისე მაგრად ითამაშა. „ბათუმი“ რომ ლიდერ „ოლიმპს“ მინდვრის ცენტრში ტოლ-სწორად ეჭიდავებოდა, სწორედ მისი დამსახურება იყო, მაგრამ ამ ლამაზი გოლიდან რვა წუთში მუჯირმა ანტიგმირობაც ჩაიდინა — ამირანი კარგ შეტევას იწყებდა, როცა ცენტრში მიხეილ მახვილაძე ეუხეშა და... სიმართლე ვთქვა, არ გამიგონია, მაგრამ თქვეს, მუჯირმა შეაგინაო, რაზეც მახვილაძემ უპასუხა და მსაჯმაც ორივე გააძევა.

მუჯირი და მახვილაძე გასახდელში შესვლამდე გააშორეს ერთმანეთს, მაგრამ გვირაბში შესვლისას ხელდახელ ჩხუბიც ამტყდარა. ორი-სამი წუთი თამაში გაჩერებული იყო, მოჩხუბრები მწვრთნელებმა და კლუბის ხელმძღვანელებმა გააშველეს.

ამ ეპიზოდამდე რუსთაველებს მცირე უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ მუჯირის არყოფნამ ბათუმელთა ნახევარდაცვა მოარღვია და გიორგი კიკნაძემაც სწორად გამოიცნო, როცა შეცვლაზე რევაზ გეწაძე და გოჩა ხოჯავა შეიყვანა. ინციდენტიდან მოყოლებული, 10 წუთის განმავლობაში „ოლიმპს“ ოთხი საგოლე მომენტი ჰქონდა: ჯერ ხოჯავამ ააცილა, მერე როინ ონიანის დარტყმას მცველები ჩაუწვნენ, გელა ხუბუასაც მცირედი დააკლდა გატანამდე და ბოლოს გეწაძე შეეყარა პირისპირ ირაკლი თოთლაძეს, მოატყუა კიდეც, მაგრამ წაიქცა და... „ფოლადი“ პენალტისთვის გაემზადა, მსაჯს კი არ ჩაუსტვენია.

მოკლედ, მეორე ტაიმში შმაგი ბრძოლა იყო და ბოლო წუთები ბოლოს აღვწეროთ, მანამდე კი მატჩის დებიუტზე ვთქვათ — პირველივე წუთზე გიორგი კახელიშვილის პასით ლაშა ქებაძემ ახლოდან ანგარიში გახსნა. „ოლიმპმა“ ამ სეზონში რამდენჯერმე მოიგო დიდი ანგარიშით და სწრაფი გოლი თითქოს იმის მანიშნებელი იყო, რომ ბათუმელებსაც ცუდი დღე დაადგებოდათ, თუმც ზღვისპირელებმა თამაში დაალაგეს და, მართალია, პირველ ტაიმში მხოლოდ რევაზ ჯიქიას სახიფათო თავურს გამორჩნენ, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ნელ-ნელა უმატებდნენ.

ახლა კი ბოლო წუთებს მივყვეთ, სადაც ასეთი სურათი გამოიკვეთა: სტუმრები დაცვაში ჩაიკეტნენ და გაძლებაზეღა იყვნენ, „ოლიმპი“ კი გოლს ამწიფებდა და 85-ე წუთზე ხოჯავამ 20 მეტრიდან დაბალ კუთხეში შეასრიალა ბურთი — 2:1.

ასეთ დროს დაცვიდან შეტევაში გადასვლა ურთულესი საქმეა, მაგრამ „ბათუმმა“ ერთიც გაიბრძოლა და სწრაფ შეტევას დავით გოგოლაძის ახლოდან დარტყმული მოჰყვა, რომელიც კარში კი მიდიოდა, მაგრამ ბურთი ბათუმელ ალექსანდრე კოშკაძეს მოხვდა და ასპროცენტიანი შანსი განიავდა...

გიორგი კიკნაძის სამწყსოს გასახარი ნაღდად ჰქონდა — ურთულესი თამაში ხომ გადააგორა და თანაც ერთპიროვნულად გალიდერდა.



„ოლიმპი“ გოჩა ხოჯავას გოლმა გაალიდერა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 9 | 8 | 1 | 0 | 24:1 | 25 |
| ამერი | 9 | 7 | 2 | 0 | 16:2 | 23 |
| დინამო | 9 | 6 | 0 | 3 | 16:7 | 18 |
| ზესტაფონი | 9 | 5 | 3 | 1 | 12:3 | 18 |
| ვიტ ჯორჯია | 9 | 5 | 3 | 1 | 17:12 | 18 |
| ტორპედო | 9 | 5 | 3 | 1 | 10:5 | 18 |
| სიონი | 9 | 4 | 2 | 3 | 10:7 | 14 |
| ლოკომოტივი | 9 | 3 | 2 | 4 | 9:10 | 11 |
| ბათუმი | 9 | 2 | 2 | 5 | 9:9 | 8 |
| მერანი | 9 | 2 | 2 | 5 | 7:16 | 8 |
| ჩიხურა | 9 | 1 | 3 | 5 | 6:15 | 6 |
| ბორჯომი | 9 | 1 | 2 | 6 | 10:20 | 5 |
| დილა | 9 | 0 | 2 | 7 | 4:25 | 2 |
| კახეთი | 9 | 0 | 1 | 8 | 9:27 | 1 |

საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. 9 ტური

# ბურთს დაარტყი, კაცს რას ერჩი
## ზურაბმა ზურაბი ზურაბს მიაბარა

ზესტაფონი. 21 ოქტომბერი. 15 საათი. ცენტრალური. 4 000 (ტევადობა 8 000)

### ზესტაფონი 0:0 ამერი

| ზესტაფონი | ამერი |
| --- | --- |
| ზესტაფონი: ჭანტურია, საჯაია, შ. ლონლაძე, ს. თოდუა, ბ. ნოზაძე, კ. ჩხეტიანი (ნ. კვასხვაძე 68), ვიეირა, განუგრავა, გ. ჭელიძე, ფიფია (იმედაძე 76), იონანიძე | ამერი: ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე (ჩიკვილაძე 66), დობროვოლსკი, დეკანოსიძე (გ. ჯელაძე 46), გ. დოლიძე, ბოლქვაძე, რ. წინამძღვრიშვილი, ს. დავითაშვილი (გაბისკირია 83) |
| *სათადარიგონი:* რ. კვასხვაძე, ძამსაშვილი, ბ. გოცირიძე, დბუშვილი, სანტოსი | *სათადარიგონი:* ლ. ნადირაშვილი, დ. მჭედლიშვილი, ტატანაშვილი, სევასტოპულო |
| მწვრთნელი: თემურ მახარაძე | მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე |

გაფრთხილება: დიდავა (19), იონანიძე (48), დავითნიძე (64), ხვადაგიანი (67), ქვაჩახია (90)

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ლ. მიქელაძე, მ. ურუშაძე; ჯ. ბუიშვილი

დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე; დირექტორი: ბ. მჭედლიშვილი

**გოჩა ჯანაშია ზესტაფონიდან**

**საჩემპიონო** რბოლის მორიგი ამერ-იმერული ჯახი მშვიდობიანად დასრულდა და ეს 0:0 უფრო სტუმრებისთვის იყო მისაღები შედეგი. ჯერ ერთი, „ამერი" ისევ დაუმარცხებელია და მეორე — არ შედგა ის სათასო რევანში, რომელიც „ზესტაფონს" ლიდერებთან ჩამორჩენასაც შეამცირებინებდა.

ამ მატჩის ფასი დიდი იყო და წინასწარი პროგნოზით, გახსნილ თამაშს არავინ ელოდა. ასეც გამოვიდა. თემურ მახარაძემაც და, მით უფრო, გიორგი ჩიხრაძემაც დაცვითი ფეხბურთი ირჩიეს და სანახაობრივი მხარეც ამად დაიჩრდილა, თუმცა ბრძოლა დაძაბული და ხშირ შემთხვევაში ხისტიც იყო.

იმერული კლუბი სიახლეებით დაუხვდა „ამერს". აქამდე გასინჯვაზე მყოფი ორი ბრაზილიელიდან ერთი — ჟილვან ვიეირა ძირითადში იყო, მეორე, ედსონ სანტოსი კი — სათადარიგო. ვიეირას ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. მართალია, პირველ ტაიმში ჩაიკარგა, მაგრამ ეს უფრო თანაგუნდელთა ბრალი იყო. ზესტაფონელი ქომაგობაც უკმაყოფილო უფრო იმით დარჩა, რომ ბრაზილიელს ბურთს ნაკლებად აწვდიდნენ.

ორივე გუნდმა 4-4-2 სქემა აირჩია და პირველივე წუთებიდან ჩანდა, ეპიცენტრი უფრო მოედნის შუაგული რომ იქნებოდა.

მართალია, ფრთხილად, მაგრამ მასპინძლებმა მაინც სცადეს ინიციატივის ხელში ჩაგდება. მთლიანობაში კი ისე გამოვიდა, რომ უფრო აქტიური „ზესტაფონი" იყო და მოგების შანსიც მას უფრო ჰქონდა, ვიდრე მეტოქეს.

კარში პირველი დარტყმა მე-10 წუთზე ვნახეთ. ეს ზურაბ იონანიძემ მოახერხა საჯარიმოს მისადგომებიდან, თუმცა დარტყმული ზურაბ ქვაჩახიასთვის იოლი ლუკმა იყო. ამ ეპიზოდზე ყურადღებას არც გავამახვილებდი, რომ არა ერთი ფაქტი — ეს კარში ერთადერთი დარტყმა გამოდგა მატჩის ბოლოსწინა წუთამდე, როცა იგივე გრიგოლ იმედაძემ გაახერხა და ამერელთა მეკარეც ასე თუ ისე შეაწუხა.

„ზესტაფონი" შედარებით კი აქტიურობდა, მაგრამ სტუმარ მცველებს ისე ჰქონდათ საჯარიმო ჩაკეტილი, იმერლებს რიგიანი შანსი შესვენებამდე არც მისცემიათ.

ჩიხრაძის შეგირდები მეტოქის იერიშებს უშფოთველად იგერიებდნენ და ცდილობდნენ, ერთი კონტრჩხვლეტა მაინც განეხორციელებინათ, თუმცა საიმედოობაში არც იმერელი მცველები ჩამორჩებოდნენ და არც სულიკო დავითაშვილს და არც რატი წინამძღვრიშვილს გასაქანს არ აძლევდნენ.

ასე ჭიდილ-ჭიდილში და ჯაჯგურში მიილია პირველი ტაიმი. აი, მეორე კი უფრო მძაფრი და საინტერესო გამოდგა.

თამაში სამიოდ წუთის განახლებული იქნებოდა, მასპინძელთა მოიერიშე ზურაბ იონანიძემ სტუმართა მეკარე ზურაბ ქვაჩახია საქმით რომ გახადა. იონამ უიმედოდ დაკარგულ ბურთს, ყველასთვის გასაკვირად, მეკარის ხელებამდე სდია და ქვაჩახიას ორივე ფეხით შეასკდა.

„ამერის" მეკარემ თამაში კი გააგრძელა, თუმც ნამატჩევს გუნდის ექიმ ზურაბ ლომინაძეს შესიებული ბარძაყით და გადაყვლეფილი წვივით ჩაბარდა. იონას კი უხეშობებისთვის მხოლოდ ყვითელი ბარათი აკმარეს.

გასაკვირი იყო ისიც, რომ იონანიძემ იგივე რამდენიმე წუთშიც გაიმეორა და ქვაჩახია ღმერთს უმადლოდეს, მძიმე ტრავმას რომ გადაურჩა...

მეორე ნახევარში საქმეში უკვე შეცვლებიც ჩაერია და თამაშიც გამწვავდა. ჩიხრაძემ ჯერ თენგიზ ჩიკვილაძეს უხმო, მოგვიანებით კი გიზო ჯელაძეს — პირველმა დაცვის მარცხენა ფლანგს შემატა აგრესიულობა, მეორემ კი შუა ხაზს.

მახარაძეც არ ჩამორჩა კოლეგას და მარჯვენა ფლანგზე ნიკა კვასხვაძის გამოყვანით იერიშები გაამძაფრა და დარჩენილ დროში ამერელთა კართან თუ რაიმე ხიფათი შეიქმნა, სწორედ კვასხვაძის დამსახურება იყო.

მეორე ტაიმის 15 წუთი იყო ჩათავებული, „ზესტაფონს" ხანგრძლივი იერიში რომ გამოუვიდა — საჯარიმოში შექმნილი არეულობით კი ვიეირას შეეძლო ესარგებლა. მას გიორგი ჭელიძემ კარიდან შვიდიოდ მეტრში დაასვა თავზე ბურთი, თუმც ბრაზილიელს სიზუსტემ უმტყუნა.

მეორე, შედარებით ნაკლები სიმწვავის, მაგრამ მაინც კარგი შანსი ზურაბ იონანიძეს ჰქონდა. 78-ე წუთზე კვასხვაძემ მარჯვენა ფლანგზე ივარგა და კარის გასწვრივ დაბალი პასი გააკეთა. გიორგი დავითნიძე ბურთს ვერ შესწვდა და იონანიძეს დარტყმის საშუალება მიეცა, მაგრამ ამ ჯერზეც უზუსტოდ დაარტყა.

ბოლო ათი წუთი კი შეიძლებოდა, დრამატული გამომდგარიყო. სწორედ ამ დროს იყო, შანსის მომლოდინე „ამერს" მომენტი რომ შეექმნა — შეტევაში გართულ იმერლებს უკანა ხაზი აერიათ და „ამერის" ორი სწრაფი კონტრშეტევაც გაეპარათ. აქედან განსაკუთრებით ერთი გამოირჩეოდა, როცა სამი ამერელი ორი მეტოქის პირისპირ შერჩა, მაგრამ გრიგოლ დოლიძეს ძალა თუ სითამამე არ ეყო და ჯელაძისთვის პასის მიცემის ნაცვლად ყოვლად უხეირო გაგრძელება მოძებნა — ბურთი გრიგოლ ჭანტურიას ჩააბარა.

ბოლო წუთზე კი ისევ „ზესტაფონმა" გაიბრძოლა და იმავ კვასხვაძის პასს წამით ვერ მიუსწრო იმედაძემ და მოგების ეს შანსიც ზესტაფონურ ნიავს გაატანა.




### პრესკონფერენცია

*გიორგი ჩიხრაძე:* ვიცოდით, რომ დაძაბული მატჩი იქნებოდა. მეტოქეს თასის ფინალში წაგებისთვის რევანში სურდა და უფრო დიდი მოტივაციაც გააჩნდა, თანაც „ზესტაფონი" შინ კარგად თამაშობს და საერთოდაც ძლიერი გუნდია. ჩვენ ამ თამაშისთვის განსაკუთრებულად არ მოვმზადებულვართ. უბრალოდ, მეტოქის ლიდერების განეიტრალება და სტანდარტული სიტუაციებისას ყურადღება დავავალე შეგირდებს. ვფიქრობ, შედეგი ლოგიკურია.

*თემურ მახარაძე:* ძალიან დაძაბული შეხვედრა გამოდგა. „ამერი" ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია საქართველოში და მასთან თამაშში უფრო გამოჩნდა, რომ ჩვენი გუნდი ფეხზე დგება. უპირატესობა ჩვენი იყო, მაგრამ გატანა ვერ შევძელით. რაც შეეხება ბრაზილიელ ვიეირას, ვთვლი, რომ პირველი თამაშის კვალობაზე კარგად ითამაშა.



„ამერთან" მატჩში ბრაზილიელ ჟილვან ვიეირას (მარცხნივ) ზესტაფონური დებიუტი ჰქონდა




ამერელ ზურაბ ქვაჩახიასთან უხეშობის გამო ზურაბ იონანიძე გაფრთხილებას გამორჩა

# საქართველოს 18 ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა. I წრე. 9 ტური

# ხუციშვილი მოედანზე სასტვენით შევიდა

თბილისი. 21 ოქტომბერი. 15 საათი. შევარდენი. 500 (ტევადობა 1 500)

### მერანი 1:3 დინამო

0:1 ბობოხიძე (43), 1:1 ქემაშვილი (53), 1:2 მერებაშვილი (55), 1:3 ხუციშვილი (90)

*იაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (40, მეკარე)*

| | |
|---|---|
| **მერანი:** სეფიაშვილი, სულაქველიძე (დათუნაშვილი 44), ჯანგიძე, ოქიტაშვილი, სარალიძე, ბურჯანაძე, ლ. კვარაცხელია, გაგუა, ფურთუხია (ხურცილავა 72), ლ. მანწკავა, გ. ქორიძე (ქემაშვილი 46) *სათადარიგონი:* შველიძე, ლ. გრიგალაშვილი **მწვრთნელი:** დავით ეჯიბიშვილი | **დინამო:** გრიშიკაშვილი, შ. კაშია, გ. კაშია, გიგაური, ნავალოვსკი, ლ. ნოზაძე, ზ. ჯანაშია, გ. მერებაშვილი (ხუციშვილი 90), ს. კობახიძე, ს. იაშვილი, ბობოხიძე (ჯ. დვალი 80) *სათადარიგონი:* ლორია; აკობია, ჩირიკაშვილი, გ. თომაშვილი, ბაბუნაშვილი **მწვრთნელი:** დუშან უჰრინი |

**გაფრთხილება:** ჯანგიძე (40), სარალიძე (60), გრიშიკაშვილი (64), ნოზაძე (70), მერებაშვილი (74), ნავალოვსკი (88)

**მსაჯები:** ა. ნონიკაშვილი; მ. ელიკაშვილი, ს. სპიცინი; გ. ვადაჭკორია



დუშან უჰრინი

**კახა შალამბერიძე**

**„მერანმა“** ვერც ამჯერად მოახერხა შინ ქულის აღება, თუმც ახლოს კი იყო მიზანთან. 53-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა ილია ქემაშვილმა თავურით გაათანაბრა ანგარიში და ვინ იცის, რა მოხდებოდა, „დინამოს“ მალევე რომ არ ეპასუხა...

პირველი ტაიმი თანაბარი გამოდგა. სტუმარ-მასპინძელი უმეტესად მოედნის ცენტრში ებრძოდნენ ერთმანეთს და დიდად გამოსარჩევი სახიფათო მომენტები არც შექმნილა. მეტიც, დინამოელ სოსო გრიშიკაშვილს შესვენებამდე საქმე არ მისცემია, მერანელი კონსტანტინე სეფიაშვილი კი ორ-სამჯერ ჩაერთო თამაშში.

ყველაზე რეალური მომენტი ტაიმის ბოლოს შეიქმნა — სანდრო კობახიძის გარღვევა ლაშა ჯანგიძემ სარმით შეაჩერა და პენალტი. ბურთთან სანდრო იაშვილი მივიდა, გამოექანა, თითქოს პაუზაც კარგად დაიჭირა, თუმცა სეფიაშვილის თავგანწირულ ნახტომს მაინც ვერაფერი მოუხერხა — მეკარემ ბურთი მოიგერია.

აბა, ვის ეგონა, ამის შემდეგ „მერანი“ გოლს თუ გაუშვებდა და შესვენებაზე „მშრალად“ გასვლას ვერ შეძლებდა. ასე კი მოხდა: ზამირ ჯანაშიამ უმეთვალყურეო მიხელ ბობოხიძე შენიშნა და 0:1. ეს ამბავი 43-ე წუთზე მოხდა.

მერე ის იყო, რაზეც თავში მოგახსენეთ, ქემაშვილმა გაათანაბრა, „მერანმაც“ გაიხარა და... ორ წუთში „დინამო“ ისევ დაწინაურდა — მცველ-მეკარის შეუთანხმებლობით გიორგი მერებაშვილმა ისარგებლა და ცარიელ კარში შეაგდო — 1:2.

თამაშმაც აზრი აქ დაკარგა. მართალია, „მერანი“ ისევ ეცადა გათანაბრებას, თუმცა რაიმე განსაკუთრებული ვერაფერი შექმნა. აშკარად იგრძნობოდა, რომ დუშან უჰრინის გუნდი უკვე აღარ იყო გოლის გამშვები.

და ბოლოს: შეცვლაზე წამების შესულმა მიხეილ ხუციშვილმა საბოლოო ანგარიში დაბალი, ზუსტი დარტყმით დასვა — 1:3.

# ლოკომოტივმა კედელი თავით გაანგრია

თბილისი. 21 ოქტომბერი. 15 საათი. მიხეილ მესხი. 80 (ტევადობა 25 600)

### ლოკომოტივი 3:0 დილა

1:0, 2:0 გუშარაშვილი (75, 82), 3:0 ყენია (85)

*გულორდავამ ვერ გაიტანა პენალტი (21, მეკარე)*

| | |
|---|---|
| **ლოკომოტივი:** გვარამაძე, ებრალიძე, გ. კვახაძე, გუშარაშვილი, გ. ავალიანი, ცხომარია (დეისაძე 71), მიხაილიდი (გ. ჩივაძე 46), გულორდავა, დ. ფოფხაძე, მ. ჟღენტი (ებანოიძე 80), ყენია *სათადარიგონი:* მიგინეიშვილი; მხეიძე, ბახტაძე, გ. ყიფიანი **მწვრთნელი:** ამირან მინაშვილი | **დილა:** თ. ილურიძე, გ. ლომიძე, მასურაშვილი (თაყაძე 79), ი. კობახიძე, ვაჩეიშვილი, ოლგესაშვილი (ტლაშაძე 56), ნ. ნოზაძე, სადღაშვილი (ვარდოსანიძე 85), ბალიაშვილი, ა. ლაბაძე, გ. წინამძღვრიშვილი *სათადარიგონი:* კეჩხუაშვილი; ქავთარაძე, ვ. სომხიშვილი, მძინარიშვილი **მწვრთნელი:** რევაზ მამესწარაშვილი |

**გაფრთხილება:** ჟღენტი (9), ვაჩეიშვილი (12), ლაბაძე (14), ფოფხაძე (18), გუშარაშვილი (26), ბალიაშვილი (58), ტლაშაძე (67), ავალიანი (72), ებანოიძე (90)

**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი; ზ. ბერულავა, ლ. თოდრია; ვ. ელისაბედაშვილი

**დამკვირვებელი:** ა. კაჭახიძე

**გიორგი ვაშაკიძე**

**...75-ე წუთამდე** კედელივით იდგა გორელთა მეკარე თამაზ ილურიძე — ჯერ იყო და, გიორგი გულორდავას პენალტი აუღო და მერეც არაერთხელ იხსნა კარი შესაშური ნახტომებით. სტუმრები მთელი გუნდით იცავდნენ თავს და ტრიბუნაზე ისიც ითქვა, ესენი ალბათ ქულას გამორჩებიანო, მაგრამ ასე არ ფიქრობდა ნიკა გუშარაშვილი, რომელმაც ბოლოს, როგორც იქნა, გატეხა ილურიძე და შვიდ წუთში თავურებით დუბლი გაიფორმა, თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე კი თავისი გოლი ერთ-ერთმა გამორჩეულმა ლევან ყენიამაც შეაგდო.

შეხვედრა, როგორც მოსალოდნელი იყო, მასპინძელთა შტურმით დაიწყო და რომ არა ძელი, მიხეილ ჟღენტი მე-6 წუთზევე გახსნიდა ანგარიშს. 21-ეზე კი გიორგი გულორდავა შევიდა მარცხნიდან საჯარიმოში, სადაც სტუმართა მცველმა აკრძალული ხერხით შეაჩერა: თავისივე მონადირებული პენალტის გატანა გულორდავას ილურიძემ არ დაანება — მარჯვენა კუთხეში გაფრინდა და ძელის დახმარებით ბურთი ხელებში გააქვავა.

თამაშს უხეში ნაღდად არ ეთქმოდა, მაგრამ ერთ საგულისხმო ფაქტს ვერსად გავექცევით: პირველ 26 წუთში მსაჯმა პაატა დოგრაშვილმა ხუთჯერ ააფრიალა ყვითელი ბარათი, მთლიანობაში კი ცხრაჯერ გაიკრა ჯიბეზე ხელი.

მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, „დილას“ უნდა გაეტანა — ალექსანდრე ლაბაძე პირისპირ დარჩა გვარამაძესთან, მაგრამ მეკარემ ფეხით მოიგერია ბურთი.

მერე თბილისელთა შტურმიც დაიწყო. მარცხენა ფლანგზე გულორდავა გააქტიურდა, მარჯვენაზე — დაჩი ფოფხაძე, ყენიაც ჩინებულად ირჯებოდა. ზემოთქმული მომენტის გარდა, მეორე ნახევარში გორელები ახლოსაც არ გაჰკარებიან გვარამაძის კარს. უშედეგო მცდელობები 75-ე წუთამდე იყო, მერე კი საქმეში მცველი გუშარაშვილი ჩაერთო და...

„ვიცოდით, რომ მეტოქეს ფლანგებზე ჰქონდა პრობლემები და ჩვენც ამაზე გავაკეთეთ აქცენტი. თუ დააკვირდით, სამივე გოლი სწორედ ფლანგებიდან შევაგდეთ. შედეგით, ცხადია, კმაყოფილი ვარ, მაგრამ თამაშის ხარისხით — არა. ძალიან ბევრი გვაქვს სამუშაო. დისციპლინაშიც მოვიკოჭლებთ და ამაზე ფეხბურთელებს დაველაპარაკები. ძალიან ბევრი ყვითელი ბარათი მივიღეთ, თანაც ისეთ ვითარებაში, სადაც წესით, არ უნდა მიგვეღო“ — გვითხრა ნამატჩევ პრესკონფერენციაზე „ლოკომოტივის“ მწვრთნელმა ამირან მინაშვილმა. „დილას“ თავკაცი რევაზ მამესწარაშვილი კი ჟურნალისტებთან რატომღაც არ მოვიდა.

# კახეთი მოგებულსაც აგებს

თელავი. 21 ოქტომბერი. 15 საათი. გივი ჩოხელი. 1 100 (ტევადობა 6 000)

### კახეთი 2:3 ტორპედო

0:1 წიქარიშვილი (33), 1:1 კობაიძე (36), 2:1 წუწუნავა (53), 2:2, 2:3 მუშკუდიანი (79, 82)

| | |
|---|---|
| **კახეთი:** ცინაძე, ტარულაშვილი, ლომიძე, მაღლაკელიძე, კვირკველია, დ. ბურდული, კობაიძე, იმერლიშვილი, ნ. დავითაშვილი (ბიძინაშვილი 54), წუწუნავა (ბ. ბურნაძე 76), ტეტიაშვილი (ცისკარიშვილი 46) *სათადარიგონი:* ქუფარაშვილი, მურველაშვილი, ამირანიძე, ძამუკაშვილი **მწვრთნელი:** ჯემალ მახარაშვილი | **ტორპედო:** კოდალაევი, გოგია, გამეზარდაშვილი, ბერუაშვილი, ზ. ჩხეტიანი, გ. ჩხეტიანი, გურული, მ. ლონლაძე (ცქვიტაია 36), ლალაძე (ხორავა 67), წიქარიშვილი, მუშკუდიანი *სათადარიგონი:* ქვილითაია; ა. კვერნაძე, დოლონაძე, ჭედია, **მწვრთნელი:** იური კვერნაძე |

**გაფრთხილება:** ზ. ჩხეტიანი (58), იმერლიშვილი (59), მუშკუდიანი (82)

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია; გ. ჩიგოგიძე, ა. კოკაია; მ. ბეუქლიშვილი

**გიორგი კაციტაძე** თელავიდან

„თავს ზემოთ ძალა არ არის“ — ეს უკვე კარგად ნაცნობი ფრაზაა, რომელსაც თელაველთა მთავარი მწვრთნელი ჯემალ მახარაშვილი ნამატჩევ პრესკონფერენციაზე იმეორებს. მახარაშვილი უმაღლეს ლიგაში დარჩენის პერსპექტივას ვეღარ ხედავს, გულშემატკივარმაც აღარ იცის, რა ჰქნას... არის შეძახილი „ჯემალ წადი!“, არის ტრიბუნაზე გამოფენილი ტრანსპარანტები... „კახეთიც“ კვლავ აგრძელებს წაგებათა სერიას.

ქუთაისის „ტორპედოსთან“ „კახეთმა“ ფაქტობრივად მოგებული თამაში წააგო.

მატჩი გარდამავალი უპირატესობით დაიწყო. ორივე გუნდი ცდილობდა ცენტრში ბურთის დაჭერას...

პირველი სახიფათო მომენტი კი მე-19 წუთზე სტუმრებმა შექმნეს — მამუკა ლონლაძე მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ბოლო მომენტში ირაკლი მაღლაკელიძემ ფეხიდან ააცალა ბურთი. საპასუხო იერიშში კახა წუწუნავამ ოდნავ ააცილა კარს.

21-ე წუთზე ჩინებული შანსი მიეცა თელაველ ლუკა ტეტიაშვილს — ლონლაძის დარად, ისიც პირისპირ გავიდა და მეკარემ ფეხით აუღო.

მასპინძელთაგან დავით ბურდული გამოირჩა, რომლის დარტყმებიც ხან უზუსტო იყო, ხანაც ბესიკ კოდალაევი ყოჩაღობდა.

33-ე წუთზე კი სტუმრებმა პირველად იხეირეს: მარჯვენა ფლანგიდან ზურაბ მუშკუდიანის ჩაწოდებული ბურთი მანუჩარ წიქარიშვილს მიუვიდა და 0:1.

თელაველები მალევე გამოფხიზლდნენ და სულ რაღაც სამ წუთში რატი იმერლიშვილის გამჭოლი პასით კობა კობაიძემ გაათანაბრა — 1:1.

მასპინძლებმა ხასიათიც გამოიკეთეს და საგრძნობ უპირატესობასაც დაეუფლნენ.

53-ე წუთზე მარცხენა ფლანგიდან ნიკა დავითაშვილმა ჩააწოდა, კახა წუწუნავამ კი შანსი ხელიდან აღარ გაუშვა — 2:1.

ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ „კახეთი“ პირველი სამი ქულის აღებას შეძლებდა, მაგრამ...

მე-60 წუთზე ბურდულმა შორიდან გაისროლა და ბურთი ხარიხას მოხვდა. დამატებაზე ბიძინაშვილმა კი შეაგდო, მაგრამ თამაშგარე მდგომარეობაში იყო და გოლიც არ ჩაითვალა.

მატჩის ბოლოსკენ მასპინძლები მოეშვნენ, ხოლო სტუმრები პირიქით, გააქტიურდნენ და ამან შედეგი გამოიღო — 79-ე წუთზე გივი ჩხეტიანის ჩაწოდებულს ზურაბ მუშკუდიანმა საგოლე დარტყმა მიაყოლა — 2:2. ხუთიოდ წუთში იმავ მუშკუდიანმა ნიკა ნადირაძის პასით იხეირა და „ტორპედომ“ ურთულესი გამარჯვება მოიპოვა — 2:3.

კახელთა პასუხი ბოლო წუთზე ბიძინაშვილის დარტყმა იყო, რომელიც ოდნავ ასცდა „ტორპედოს“ კარს.

ბოლნისი. 21 ოქტომბერი. 15 საათი. თამაზ სტეფანია. 500 (ტევადობა 4 000)

### სიონი 2:0 ბორჯომი

1:0 ჭიჭვეიშვილი (85), 2:0 ალავიძე (87)

| | |
|---|---|
| **სიონი:** ბათიაშვილი, კობაური, ლ. ჭელიძე, ჭიჭვეიშვილი, ა. ალავიძე, შავგულიძე, ვ. უგრეხელიძე, ლ. ბაჯელიძე (ქარდავა 72), კვიტაიშვილი (რაქვიაშვილი 40), ჩასემი, ბ. ცხადაძე (ევოჩე 39) *სათადარიგონი:* ბობღიაშვილი; სვანიძე, ოქროპირიძე, ზ. ჭელიძე **მწვრთნელი:** გიორგი ყიფშიძე | **ბორჯომი:** შეყრილაძე, მ. ლომიძე, ნკემი, შ. ჯიქია, ზ. ავალიანი, გოგიჩაიშვილი, დ. ნადირაშვილი, ბაქრაძე, ორმოცაძე, თედიაშვილი (კიკნაძე 85), ბენდელიანი (ლაზარაშვილი 88) *სათადარიგონი:* ჩაფიძე; მონგი **მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე |

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ზ. ხუციშვილი, კ. გუდურაშვილი; ვ. გუმბერიძე

საფეხბურთო კლუბი „გაგრა“ თანაუგრძნობს კლუბის ვიცე-პრეზიდენტს გოდერძი ჩიხრაძეს დედის
**მარგალიტა მეტრეველი-ჩიხრაძის**
გარდაცვალების გამო



# მეფარეების საქმე გამთამაშებელმა გააკეთა

22 ოქტომბერი

**ავიამშენი 89:71 მაკაბი**

*18:14 20:16 27:24 24:17*

**ავიამშენი:** ი. ბერიშვილი (23), ხოშტარია (16), კეიდია (2), ბაბიაშვილი (30), როდუმტა (2); ბარბაქაძე (8), დ. ბერიშვილი (5), ნიკოლაძე (3), ნინიაშვილი, სუხიშვილი, მოსეშვილი

**მაკაბი:** დოლიძე, მაისურაძე (11), კორკოტაძე (12), ს. შერმადინი (4), გ. შერმადინი (30); ნინუა (7), პირველაშვილი (5), ხიზანიშვილი, კორძაძე (2)

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**თსუ 95:74 სტუ**

*26:24 22:14 23:18 24:18*

**თსუ:** ვეფხვაძე (2), ბ. ბერიშვილი (9), ხეცურიანი (11), ტყეშელაშვილი, სანიკიძე (18); შანიძე (15), მათიაშვილი (15), არწივიძე (3), ფანჩულიძე (3), ლეჟავა (11), მ. ბერიშვილი (8)

**სტუ:** კოხრეიძე (13), ბერაია (15), ბარბაქაძე (10), ნოზაძე (7), ახალკაცი (6); ბაბუნაშვილი (9), დევიძე (11), ბერბიჭაშვილი (3), სეფისკვერაძე, ეძგვერაძე, ფოლადაშვილი

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, მალხაზ ანდღულაძე

**კომისარი:** როლანდ გელოვანი

**ტურის** ცენტრალური მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ჟურნალისტებმა „ავიამშენის" გამთამაშებელი ირაკლი ბერიშვილი დაასახელეს. ჩავხედოთ თამაშის ოქმს: ბერიშვილს 23 ქულა და 8 პასი აქვს, ხოლო „ავიატორთა" თავდამსხმელ ზვიად ბაბიაშვილს 30 ქულა და 11 მოხსნა. მხოლოდ შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, რა თქმა უნდა, ბაბიაშვილი ჯობს, მაგრამ ბერიშვილი ამ ტიტულს გაუსაჩივრებელ მფლობელად უნდა ჩაითვალოს, რაკი სწორედ მისმა პასებმა და ქულუხვობამ გადაწყვეტა თამაშის ბედი მატჩის მესამე მეოთხედში.

საერთოდ ამ მატჩის შედეგის გამოცნობას დიდი მარჩიელობა არ უნდოდა — ისედაც ყველამ იცოდა, რომ მოქმედი ჩემპიონი ერთ-ერთ აუტსაიდერს აუცილებლად მოუგებდა, მაგრამ მაკაბელებმა შეუპოვარი თამაშით შეხვედრას ინტრიგა კარგა ხნით შეუნარჩუნეს.

ეს ძირითადად გიორგი შერმადინის დამსახურებაა, რომელიც ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდისთვის ერთადერთი იმედი იყო. გამორჩეული სიმაღლის გამო იაოდ წოდებულ შერმადინს ფარზე ხელს თავისი ძმა სოსო აშველებდა და „მაკაბიც" თავიდან კუდიდან არ მოსცილებია „ავიამშენს".

პირველი მეოთხედი „ავიატორთა" 4-ქულიანი გამარჯვებით დასრულდა და არც პირველი ტაიმის შემდეგ ჰქონდა ფავორიტს ხელჩასაჭიდი უპირატესობა. მთელი ამ ხნის მანძილზე კატათაგვობანა მიდიოდა — „ავიამშენი" გაიჭრებოდა და „მაკაბი" არ ანებებდა. შერმადინს ფარქვეშ ვერ აჩერებდნენ მეურვეები, თუმც, თავის მხრივ, „ავიატორთა" თავდამსხმელი ზვიად ბაბიაშვილიც კომფორტულად გრძნობდა თავს შეტევაში.

ვერც ტანმაღალმა პლასიდე როდუმტამ და ვერც ლადო სუხიშვილმა ვერ მოახერხეს ფარქვეშ გაბატონება და ცხადი გახდა, რომ „ავიამშენი" მთელ დამრტყმელ ძალას უკანა ხაზში გადააჯგუფებდა. ასეც მოხდა: როცა ძმები შერმადინების გააქტიურებას „ავიამშენის" უპირატესობის 2 ქულამდე შემცირება მოჰყვა, ლევან მოსეშვილმა უკანა ხაზში ერთმანეთს ტყუპი ბერიშვილები შეუწყვილა. ამათ ფეხმარდი და ჩუბინი ირაკლი ხოშტარიაც დაემატა და „მაკაბის" საქმეც წუთებში მოთავდა.

ტყუპები თვალდახუჭული უგებდნენ ერთმანეთს და როცა საქმე მოითხოვდა, არც სხვა თანაგუნდელებს ივიწყებდნენ. პასები ხომ არიგეს და ქულების გროვებაშიც არ ჰყავდათ ბადალი. განსაკუთრებით ირაკლი გამოირჩა, რომელმაც ორ წუთში სამი სამქულიანი მიითვალა და როცა ამას დავითმაც მიაბა 5 ქულა, მესამე მეოთხედის დასრულებამდე 2 წუთით ადრე „ავიატორთა" ლიდერობამ 13-ქულიანი სახე მიიღო — 59:46.

ეს იყო გადამწყვეტი მომენტი, რის შემდეგაც „მაკაბიმ" შმაგად ბრძოლის მიუხედავად თეთრი დროშაააფრიალა. სულ თავი რომ მოეკლათ, ხუხაშვილის შეგირდები ბოლო მეოთხედში 15 ქულას ვერ გაუბათილებდნენ იშტაზე მოსულ „ავიატორებს".

დაახლოებით ასეთივე სცენარით წარიმართა გუშინდელი ტურის პირველი მატჩიც, რომელშიც ერთ დროს საინტერესო, ახლა კი გვარიანად გახუნებული სტუდენტური დერბი შედგა. სტუ მთელი ჯიგრით კი ეომა თსუ-ს, მაგრამ თინეიჯერი მოთამაშეებით რას გაუმკლავდებოდა გამოცდილი და მრავლისმნახველი კალათბურთელებით დაკომპლექტებულ მეტოქეს.

ტექნიკოსები მეხუთე წუთამდე იგებდნენ, რის შემდეგაც თსუ-მ საქმეს ხელი სერიოზულად მოჰკიდა და მატჩი გამარჯვებამდე ნელ-ნელა, თუმც დამაჯერებლად მიიყვანა.

**ირაკლი პერტაია**

# ზაზა და ზიგი შეიბნენ ე, რა ყოფილა ჯო!

## საგამოფენო მატჩები

21 ოქტომბერი

**ბოსტონი 113:89 ნიუ იორკი**

**ნიუ იორკი:** მარბერი (12), კროუფორდი (15), როუზი, ფრაი (9 ქულა, 12 მოხსნა), კარი (12); რობინსონი (13), ბრაუნი (7), კოლინზი (6), რიჩარდსონი (5), ბალკმენი (4), ლი (4), კლარკი (2), მილერი, ცქიტიშვილი (5 წუთი, 2 მოხსნა, 1 პასი)

**კლივლენდი 8&90 ატლანტა**

ძირითადი დრო 80:80

**ატლანტა:** ლუ (13), ჯონსონი (17 ქულა, 10 მოხსნა, 10 პასი), მ. უილიამსი (2), სმიტი (10 ქულა, 10 მოხსნა), **ფაჩულია** (28 წუთი, 12 ქულა, 8 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა); ჩილდრესი (10), ფრეიე (9), ბოზემანი (7), შ. უილიამსი (6), რაიტი (4), გლინიადაკისი

საგამოფენო მატჩში „ნიუ იორკის" მაისურით მეორედ გამოჩნდა ნიკა ცქიტიშვილი, რომლისთვისაც ხუთწლიან კარიერაში „ნიქსი" მეხუთე გუნდია და ვნახოთ, ჩვენებური აქ როგორ მოიკიდებს ფეხს. სპარინგმატჩებში ის ჯერჯერობით ვერ ბრწყინავს, არც ათამაშებენ და როცა ათამაშეს, აგერ უქულოდ დატოვა მოედანი.

„ნიუ იორკმა" კი სოლიდურად წააგო „ბოსტონთან" და ეს არც მატჩამდე და არც მატჩის პირველი ნახევრის შემდეგ იყო ძნელი გამოსაცნობი. „სელტიქსმა" პირველი ტაიმი 27 ქულით მოუგო „ნიქსს".

მეორე ქართველმა, ზაზა ფაჩულიამ კი ტრადიციულად კარგად ითამაშა და ტოლი არ დაუდო „კლივლენდის" ლიტველ ცენტრ ჟიდრუნას ილგაუსკასს, რომელიც მასზე 10 სანტიმეტრით (221 სმ) მაღალია, ბოლო ათწლეულში ნბა-ს ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრადაც ითვლება და ორჯერ ყველა ვარსკვლავის მატჩშიცაა თანამაშები.



ჟიდრუნას ილგაუსკასისა და ზაზა ფაჩულიას საჰაერო დუელი

ზაზამაც და ზიგიმაც 12-12 ქულა ჩააგდეს. „კლივლენდში" ყველაზე გამორჩეული, რა გასაკვირია და, ლებრონ ჯეიმსი გახლდათ თავისი 21-ქულიანი, 7-მოხსნიანი და 6-პასიანი მონაგრით. „ატლანტაში" კი ჯო ჯონსონი გამოირჩა ორმაგი დუბლით.

საგამოფენო კი იყო, მაგრამ შეხვედრამ მაინც საკმაოდ დაძაბულად ჩაიარა, ოვერტაიმიც კი გახდა საჭირო გამარჯვებულის გამოსავლენად. დამატებით დროში გადამწყვეტი ბურთი ჯო ჯონსონმა ჩააგდო სირენამდე 1,7 წამით ადრე.

**კოტე ყორშია**

# ფინიქსი დიაუსგან აღდგა

**„ფინიქს სანზის"** ფრანგი ფრთა ბორის დიაუ 2012 წლის ზაფხულამდე დარჩება არიზონულ კლუბში. დიაუს ძველი, 4-წლიანი კონტრაქტი 2007 წლის ზაფხულს უმთავრდებოდა და „ფინიქსის" ბოსებმა აქედანვე დაიჭირეს თადარიგი — გუშინწინ მას წინასწარ გაუფორმეს 5-წლიანი და 45-მილიონიანი კონტრაქტი, რომელიც ერთ წელიწადში შევა ძალაში.

„ფინიქსმა" წინდახედულობა გამოიჩინა, 24 წლის ფრანგის საკითხი ასე ადრეულად რომ მოაგვარა, რადგან თავისუფალი აგენტი რომ გახდებოდა, დიაუს უამრავი მთხოვნელი და სხვა გუნდში გადაბარგების ცთუნებაც აუცილებლად გაუჩნდებოდა. „სანზი" კი თავს უფლებას ვერ მისცემს, ასეთი მოთამაშე დაკარგოს.



არადა, ზუსტად ერთი წლის წინ დიაუ იმის მესამედადაც ვერ ფასობდა, როგორც ახლა. ორი წელი „ატლანტაში" ჯახირობდა და იქ მატჩში საშუალოდ ხუთიოდ ქულას იხვეჭდა. „ატლანტამ" ის „ფინიქსს" ჯო ჯონსონის ნაცვლად დაუთმო. ამ უკანასკნელს გული აღარ უდგებოდა „სანზში". ასე აღმოჩნდა დიაუ „ფინიქსში" და მიკ დანტონის ხელში. დანტონიმ ამ დაბნეული კაფანდარა ბიჭისგან 13 ქულის და 6-6 მოხსნა-პასის მკეთებელი მოთამაშე გამოთალა და ბორისმაც სეზონის ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშის პრიზი გამოიმუშავა. დიაუს შედეგიანობამ პლეი ოფში 18 ქულას უწია. შეიძლება ითქვას, ამ ყმაწვილმა 2005 წლის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს, პლეი ოფის დასავლეთის ფინალში გასულ „ფინიქსს" ხუთეულის სამი მოთამაშის (ჯო ჯონსონი, კვენტინ რიჩარდსონი, ამარე სტუდემაიერი) დაკარგვა არ აგრძნობინა და სტივ ნეშთან და შონ მერიონთან ერთად კვლავ გაიყვანა დასავლეთის ფინალში.

„ფინიქსის" მფლობელ რობერტ სარვერს დიაუში გადახდილ ფულს უკვე აღარავინ ჩაუთვლის წყალში გადაყრილად. „ჩვენ კვლავ განვაგრძობთ საჩემპიონო გუნდის შენებას და ბორისის შენარჩუნება ჩვენი გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილია" — ამბობს სარვერი.

დიაუ ამ სეზონთაშორისის პერიოდში მეორე თავისუფალი აგენტია, რომელსაც „ფინიქსმა" კონტრაქტი გაუხანგრძლივა — ზაფხულში „სანზში" კიდევ 5 წლით და 33 მილიონად დარჩა ბრაზილიელი უკანახაზელი ლეანდრო ბარბოსა.

**კოტე ყორშია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერმანელებმა ნევა წყალს გაატანეს

## იავარა ‚აბენსბერგმა იავარჰყო

თბილისიდან ბუდაპეშტში გადატანილი ძიუდოისტთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატი ქართულმა „საგარეჯომ“ მესამე ადგილით ჩაამთავრა. საქართველოს ნაკრების ბაზაზე დაკომპლექტებული და ხუთი უხვტიტულა უცხოელით გამლიერებული გუნდი ოთხთა ფინალის პირველსავე ეტაპზე — ნახევარფინალში, რუსულ „ივარა ნევასთან“ დამარცხდა.

ვლადიმერ პუტინის სანკტპეტერბურგული კლუბი უნგრეთში ევროპის ორგზის მოქმედი ჩემპიონის რანგში ჩავიდა და ცხადია, ამჯერადაც უმთავრეს ფავორიტად მიიჩნეოდა. თუმცა რუსები სულ რაღაც ორი წლის შექმნილ „საგარეჯოს“ რომ უფრთხოდნენ, ეს ძიუდოს ევროფედერაციის სანქციამაც დაადასტურა. ამ ორგანიზაციის საპატიო პრეზიდენტ პუტინს აშკარად უჯობდა, მის ბიჭებს ნეიტრალურ ტატამზე ეჭიდავათ და საწადელს, რა თქმა უნდა, იოლად მიაღწია.

„საგარეჯომ“ თოთხმეტი შეხვედრის ჯამში 4:7 წააგო. არადა, პირველი შვიდეულების ჩაჭიდავების შემდეგ ცუდს ვერავინ იფიქრებდა — ხაბარელის გუნდი 3:2-ს იგებდა. „იავარა ნევას“ ჯავრი ოქროს შანსდაკარგულებმა თურქულ „ისტანბულზე“ იყარეს. მესამე ადგილის ბედი ფაქტობრივად პირველსავე რაუნდში გაირკვა. საგარეჯოელებმა 5:1 იმარჯვეს და საერთო გამარჯვებამდე ორი ქულაღა აკლდათ. საბოლოოდ — 8:2.

ახლა კი უფრო კონკრეტულად თითოეულ წონაზე და ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზით დაკარგულ და მოპოვებულ ქულებზე.

### 60 კგ

უმსუბუქეს წონაში „საგარეჯოს“ თავკაცმა რუსების წინააღმდეგ სომეხი არმენ ნაზარიანი გაამწესა და ამ უკანასკნელმაც რიხიანად დაიწყო — ყაზახ სალმატ უტარბაევს იპონით გაუსწორდა. მეორე რაუნდში რუსებმა ნაზარიანს მეტოქე შეუცვალეს და ბებერმა ევგენი სტანევმაც კოკათი მოიგო. სომეხ ლეგიონერს ერთხელაც მოუხდა ბუდაპეშტურ ტატამზე გასვლა, „ისტანბულთან“ მეორე რაუნდში ბაზარბეკ დომბეის სძლია. იქამდე კი დომბეიმ ნესტორ ხერგიანი დაგვიჩაგრა.

### 66 კგ

ამ წონაში შოთა ხაბარელს მხოლოდ ერთი კაცი ჰყავდა — ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ირანელი არაშ მირესმაილი. მართალია, მეორე ტიტული არაშმა სამი წლის წინანდელ მსოფლიოზე მოიგო, მაგრამ მისგან ასეთ უსუსურ ჭიდაობას მაინც არავინ ელოდა. ირანელზე ძიუდოში ჩახედული ქართველობა ქულებს გეგმავდა, მან კი ოთხი შეხვედრა ისე ჩაამთავრა, კოკაც ვერ გააკეთა. „იავარა ნევასთან“ მეორე რაუნდში სწორედ მირესმაილის მაგომედ ჯაფაროვთან მარცხმა ჩამოარჩინა „საგარეჯო“. დანარჩენი სამი შეხვედრა არაშმა ფრედ დაასრულა.

### 73 კგ

დავით ქევხიშვილის ტრავმის გამო ხაბარელს იძულებითი ცვლილების განხორციელება მოუხდა. 66-კილოგრამიანი ზაზა კედელაშვილი მაღლა ასწია, მაგრამ ამ გადაწყვეტილებამ შედეგი ვერ მოიტანა. 73-ში რუსებმა ორი ქულის აღება მოახერხეს და სწორედ ამ უპირატესობამ გაუადვილათ ფინალში გასვლა. არადა, ქევხიშვილის ტრავმა რომ არა, ზაზას ალბათ 66-ში იჭიდავებდა.

თურქებთან კედელაშვილმა პირველი ქართული ქულა აიღო. მეორე რაუნდში, კი სწორედ მისი ფრის შემდეგ გაინაღდა „საგარეჯომ“ ბრინჯაო.

### 81 კგ

უკრაინელი რომან გონტიუკი ერთადერთი ლეგიონერია, ასპროცენტიანი შედეგი რომ აჩვენა. ჯერ იყო და პუტინის კლუბის ქართველ წევრს, ერეკლე კოპალიანს აჯობა, მერე კი თურქების აზერბაიჯანელს მეჰმეთ აზიზოვსაც გაუსწორდა, ორივეს იპონით. გრიგოლ მამრიკიშვილმა კი კოპალიანთან და აზიზოვთან ფრედ იჭიდავა.

### 90-100 კგ

ამ ორ წონაში მხოლოდ 90-კილოგრამიანები დაიხარჯნენ. ყველაზე მეტად ირაკლი ცირეკიძე დაიტვირთა და ჩვეული დამაჯერებლობითაც გამოირჩა. „იავარა ნევასთან“ ცირეკიძემ 90 კილოგრამში იჭიდავა. ვიაჩესლავ დელოკი ათიოდ წამში გააკრა ტატამს, ხოლო მოქმედ ევროპის ჩემპიონ ივან პერშინთან ფრედ იჭიდავა. აქაც უნდა მოეგო, მსაჯს სუფთად შესრულებულ იპონზე თვალი რომ არ დაეხუჭა. თურქებთან ირაკლიმ 100 კილოგრამში აინაცვლა და ყოჩაღ უკრაინელ ვიტალი ბუბონს სძლია. „ისტამბულის“ ქართველ ლეგიონერ გია გუგავასთან კი თავად დამარცხდა.

ილიას ილიადისს ჩვეულ წონაში საერთოდ არ მოუწია ჭიდაობამ. რუსთა 100-კილოგრამიანი ლიდერის, რუსლან გასიმოვის წინააღმდეგ ხაბარელმა სწორედ ჯარჯის უხმო და პირველ რაუნდში „საგარეჯომ“ უმნიშვნელოვანესი ქულაც მიითვალა, თუმცა მოგვიანებით გასიმოვმა გუნდური გამარჯვების ტოლფასი რევანშით გაიხარა.

ზურაბ ზვიადაური ტატამზე მხოლოდ თურქებთან გავიდა. ირაკლი უზნაძეს ორჯერ შეხვდა და ორი ქულაც მიითვალა, მაგრამ ამისთვის ილეთის გაკეთება არ დასჭირვებია. პირველი შეხვედრა უზნაძემ გაფრთხილებებით წააგო, მეორეში კი ზვიადაურს უჭიდავებლად მიულოცა მოგება.

### +100 კგ

შარშანდელი ევროპის ჩემპიონატისგან განსხვავებით, უზბეკმა აბდულო ტანგრიევმა სუსტად იჭიდავა. ნახევარფინალში ორივე ბრძოლა იპონით წააგო — ჯერ ტამერლან ტმენოვთან, მერე კი მაქსიმ ბრიანოვთან. მესამე ადგილისთვის შეხვედრაში კი ტატამზე აღარ გასულა.

„ისტამბულთან“ ლაშა გუჯეჯიანს მიეცა შანსი და მანაც ათენის ოლიმპიადაზე თავის მძლეველს სელიმ თათაროღლუს აჯობა. მეორე რაუნდში თათაროღლუს ზვიად ხანჯალიაშვილიც უნდა დასჭიდებოდა, მაგრამ თურქმა ჭიდაობა იუკადრისა.

„იავარა ნევამ“ ტიტულის შენარჩუნება მაინც ვერ შეძლო. ევროპის თერთმეტგზის ჩემპიონ კლუბს ფინალში გერმანულმა „აბენსბერგმა“ 8:4 მოუგო. ცნობისთვის, „აბენსბერგისთვის“ ეს თასი მეხუთეა.

**ოთარ მაღლაკელიძე**




ევროპის საკლუბო ჩემპიონი გერმანული „აბენსბერგი“



# ყოჩები ველარ ყოჩობენ

**საქართველოს ჩემპიონატი**
**უმაღლესი ლიგა**
**20-21 ოქტომბერი**

**აკადემია 26:43 ხულიგანა**

**აკადემია:** ხუხუნეიშვილი, დავითაშვილი, წასიძე, მოლოდინაშვილი, ბეგაძე (სულამანიძე), ელიზბარაშვილი, ჩაბრაძე; დიაკონიძე, ბანდელიძე, ლომსაძე, ბარბაქაძე, საძაგლიშვილი, ნიბლაძე (ჩაჩუა), ლ. ობოლაძე (გელაძე), ნებულიშვილი

4 ლ: ბეგაძე, ხუხუნეიშვილი (2), ელიზბარაშვილი; 3გ: ელიზბარაშვილი

**ხულიგანა:** ჯეირანაშვილი, კენჭაძე, გრძელიშვილი, სონღულაშვილი, გეგეჭკორი, ვაჩნაძე, კუპრეიშვილი; გოგიშვილი, მურვანიძე, შეყლაშვილი, ბელაშვილი, აბაშიძე (ჭიჭინაძე), ჯოხაძე, კალმახელიძე, დგებუაძე

7ლ: გრძელიშვილი, კალმახელიძე, კუპრეიშვილი, ჯოხაძე, დგებუაძე, აბაშიძე, შეყლაშვილი; 4გ: აბაშიძე (3), ჯეირანაშვილი

**ყოჩები 7:27 დინამო**

**ყოჩები:** კობერიძე, გეგენავა, კაჭარავა, დადეშიანი, ნიჟარაძე, ბრეგვაძე, ხელაძე; კიკნაველიძე, ჭავჭავაძე, ასეიშვილი, არჩუაშვილი, ანჯაფარიძე (ჭაბაშვილი), ტუჩაშვილი, თოთაძე, კუჭუხიძე

1ლ: კიკნაველიძე; 1გ: დადეშიანი

**დინამო:** შუბითიძე, ოდიშარია, მაისურაძე, ხვიჩია, გრუდკო, ავლოხაშვილი, რამიშვილი; ნატრიაშვილი, მოქია, ხმიადაშვილი (ზაქარეიშვილი), ხორბალაძე, მეიშვილი, ცხადაძე, მირცხულავა, გუგუშვილი

3ლ: ცხადაძე (2), გრუდკო; 4ს: ავლოხაშვილი (2), გუდკო (2)

**ლელო 18:24 ლოკომოტივი**

**ლელო:** ყიასაშვილი, ზაალიშვილი, თოდუა, მანჯავიძე, ცერცვაძე, ხმალაძე (დევიძე), თოფურია; ჯამრულიძე, ცხოვრებაშვილი, ქუბრიაშვილი, რამაზაშვილი, ჩიტიძე, მჭედლიშვილი, დ. დაუშვილი, ი. დაუშვილი (ახალაია)

2ლ: თოფურია, ცერცვაძე; 1გ: ყიასაშვილი; 2ს: ყიასაშვილი

**ლოკომოტივი:** გუგავა, ოსეპჩუკი (ნადირაძე), ბერძენიშვილი (ანდღულაძე), გილაური, ჩიხლაძე, კვინიხიძე, ფ. უდესიანი; მაღალდაძე, ხეჩიკოვი, პეტრიაშვილი, ნიშნიანიძე, მთიულიშვილი, სუთიაშვილი, მხეიძე, მაისურაძე

2ლ: სუთიაშვილი, მხეიძე; 1გ: კვინიხიძე; 4ს: კვინიხიძე

უამინდობისა და სანაკრებო მატჩების გამო შინაური ჩემპიონატის გადადებულ-გადმოდებული მესამე ტური როგორც იქნა ამ უქმეებზე ჩატარდა. ტურის მატჩი შაბათს იყო — დაუმარცხებულები და ალბათ წლევანდელი სავარაუდო ფინალისტები „ლოკომოტივი“ და „ლელო“ ვაკეში შეერკინენ ერთმანეთს.

საერთოდ, „ლელოს“ საკლუბო პოლიტიკა ახალგაზრდა კადრების მომზადებაზეა გათვლილი. შემთხვევითი როდი არის, რომ ამ კლუბის მოთამაშეები 19 და 21-წლამდელთა ნაკრებების ხერხემალს წარმოადგენენ. „ლოკომოტივიც“ გაახალგაზრდავდა, მაგრამ რკინიგზელებს ყოველთვის ჰყავდათ და ჰყავთ მრავალნაცადი გვარდია, რომელსაც ნებისმიერი მატჩის ბედის გადაწყვეტა შეუძლია.

ასე იყო ახლაც. „ლელოელთა“ ჟინს რკინიგზელებმა გამოცდილება დაუპირისპირეს და მეტოქის ცხრილში პირველი მარცხი ჩაუწერეს.

ისე, ვერ ვიტყვით, რომ „ლოკომოტივმა“ ძალიან აჯობა „ლელოს“. ხშირად კი პირიქით იყო და რკინიგზელები მეტოქის გამოუცდელობას უნდა უმადლოდნენ, მატჩის ბოლო წუთზე, ლელოელების შტურმისას გადამწყვეტი ლელო რომ არ გაუშვეს.

რაც არ უნდა იყოს, ექვსგუნდა ჩემპიონატში „ლოკომოტივსაც“ და „ლელოსაც“ პლეი-ოფი პრაქტიკულად გარანტირებული აქვთ. დარჩენილი ორი საპლეიოფო საგზურისთვის კი სამი გუნდი დაჭამს ერთმანეთს.

ერთ დროს ძლევამოსილ „ყოჩებს“ ახლა თაობათა ცვლის დროება უდგათ და თუ ორი-სამი წლის წინ „დინამოსგან“ ერთი ქულით წაგება მაინც სენსაცია იქნებოდა, ახლა მასთან განადგურებაც კი არავის უკვირს.

ყოველთვის სიმპათიური „ხულიგანა“ და შინაური რაგბის ავტორიტეტებს კარგა ხანია არ ერიდება და ახლაც მაგრად რაგბობს. თუ „ხულიგანა“ ასე გააგრძელებს, დიდი შანსია, პლეი-ოფის მიღმა, პირველად ქართული რაგბის ისტორიაში, „ყოჩები“ დატოვოს.

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 3 | 0 | 0 | +14 | 6 |
| ლელო | 2 | 0 | 1 | +60 | 4 |
| დინამო | 2 | 0 | 1 | +32 | 4 |
| ყოჩები | 1 | 0 | 2 | -8 | 2 |
| ხულიგანა | 1 | 0 | 2 | -25 | 2 |
| აკადემია | 0 | 0 | 3 | -73 | 0 |

## TENNIS MASTERS

მადრიდი. ესპანეთი. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 2 450 000 $

### მეოთხედფინალი

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — რობი ჯინეპრი (აშშ) 6:3 7:6; ტომაშ ბერდიხი (11, ჩეხეთი) — რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) 6:3 7:6; დავიდ ნალბანდიანი (4, არგენტინა) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:4 6:7 7:6; ფერნანდო გონსალესი (10, ჩილე) — ნოვაკ ჯოკოვიჩი (15, სერბეთი) 7:5 5:7 7:5

### ნახევარფინალი

ფედერერი — ნალბანდიანი 6:4 6:0; გონსალესი — ბერდიხი 6:3 6:1

### ფინალი

ფედერერი — გონსალესი 7:5 6:1 6:0

ციურიხი. შვეიცარია. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 1 340 000 $

### მეოთხედფინალი

დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) — ამელი მორესმო (1, საფრანგეთი) უარი; მარია შარაპოვა (2, რუსეთი) — ტიმეა ბაჩინსკი (შვეიცარია) 6:4 6:3; სვეტლანა კუზნეცოვა (3, რუსეთი) — მარტინა ჰინგისი (5, შვეიცარია) 6:1 1:6 6:3; კატარინა სრებოტნიკი (სლოვაკეთი) — მარია კირილენკო (რუსეთი) 6:3 6:2

### ნახევარფინალი

შარაპოვა — სრებოტნიკი 7:6 6:2; ჰანტუხოვა — კუზნეცოვა 6:4 6:2

### ფინალი

შარაპოვა — ჰანტუხოვა 6:1 4:6 6:3


მარია შარაპოვა



## ფორმულა 1. 57-ე მსოფლიოს ჩემპიონატი

მეთვრამეტე ეტაპი


ფელიპე მასამ პირველი მშობლიური დიდი პრიზი მოიგო

### რბოლის შედეგები

**ბრაზილიის დიდი პრიზი**
**22 ოქტომბერი. სან პაულუ**
დისტანცია 71 წრე — 305,909 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (1) | მასა (ფერარი) | 1:31.53,8 (199,7 კმ/სთ) |
| 2 | (4) | ალონსო (რენო) | ჩამორჩა 18,7 |
| 3. | (14) | ბატონი (ჰონდა) | 19,4 |
| 4. | (10) | მ.შუმახერი (ფერარი) | 24,1 |
| 5. | (2) | რაიკონენი (მაკლარენი) | 28,5 |
| 6. | (6) | ფიზიკელა (რენო) | 30,3 |
| 7. | (5) | ბარიკელო (ჰონდა) | 40,3 |
| 8. | (12) | დე ლა როსა (მაკლარენი) | 52,1 |
| 9. | (9) | კუბიცა (BMW-ზაუბერი) | 1.7,6 |
| 10. | (19) | სატო (სუპერ აგური) | 1 წრით |
| 11. | (16) | სპიდი (ტორო როსო) | 1 წრით |
| 12. | (22) | დორნბოსი (რედ ბული) | 1 წრით |
| 13. | (15) | ლიუცი (ტორო როსო) | 1 წრით |
| 14. | (17) | ალბერსი (სპაიკერ MF 1) | 1 წრით |
| 15. | (21) | მონტეირო (სპაიკერ MF 1) | 2 წრით |
| 16. | (20) | იამამოტო (სუპერ აგური) | 2 წრით |
| 17. | (8) | ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი) | 8 წრით |
| | | **რბოლას გამოეთიშნენ** | |
| | (18) | კულტჰარდი (რედ ბული) | გაიარა 15 წრე |
| | (3) | ტრული (ტოიოტა) | 10 |
| | (7) | რ. შუმახერი (ტოიოტა) | 9 |
| | (11) | ვებერი (უილიამსი) | 1 |
| | (13) | როსბერგი (უილიამსი) | 0 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**
მასა — 1.10,680 (219,5 კმ/სთ)

**უსწრაფესი წრე**
მ. შუმახერი — 1.12,162 (215,0 კმ/სთ)

| F1 | ბაჰრეინი 12 მარტი | მალაიზია 19 მარტი | ავსტრალია 2 აპრილი | სან მარინო 23 აპრილი | ევროპა 7 მაისი | ესპანეთი 14 მაისი | მონაკო 28 მაისი | დ. ბრიტანეთი 11 ივნისი | კანადა 25 ივნისი | აშშ 2 ივლისი | საფრანგეთი 16 ივლისი | გერმანია 30 ივლისი | უნგრეთი 6 აგვისტო | თურქეთი 27 აგვისტო | იტალია 10 სექტემბერი | ჩინეთი 1 ოქტომბერი | იაპონია 8 ოქტომბერი | ბრაზილია 22 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 **ალონსო** რენო, ესპანეთი | 10 | 8 | 10 | 8 | ■ 8 | ■ 10 | ■ 10 | ■ 10 | ■ 10 | 4 | 8 | 4 | – | 8 | – | ■ 8 | 10 | 8 | 134 |
| 2 **მ. შუმახერი** ფერარი, გერმანია | ■ 8 | 3 | – | ■ 10 | 10 | 8 | 4 | 8 | 8 | ■ 10 | ■ 10 | 10 | 1 | 6 | 10 | 10 | – | 5 | 121 |
| 3 **მასა** ფერარი, ბრაზილია | – | 4 | – | 5 | 6 | 5 | – | 4 | 4 | 8 | 6 | 8 | 2 | ■ 10 | – | – | ■ 8 | ■ 10 | 80 |
| 4 **ფიზიკელა** რენო, იტალია | – | ■ 10 | 4 | 1 | 3 | 6 | 3 | 5 | 5 | 6 | 3 | 3 | – | 3 | 5 | 6 | 6 | 3 | 72 |
| 5 **რაიკონენი** მაკლარენი, ფინეთი | 6 | – | 8 | 4 | 5 | 4 | – | 6 | 6 | – | 4 | ■ 6 | ■ – | – | ■ 8 | – | 4 | 4 | 65 |
| 6 **ბატონი** ჰონდა, დ. ბრიტანეთი | 5 | 6 | ■ – | 2 | – | 3 | – | – | – | – | – | 5 | 10 | 5 | 4 | 5 | 5 | 6 | 56 |
| 7 **ბარიკელო** ჰონდა, ბრაზილია | – | – | 2 | – | 4 | 2 | 5 | – | – | 3 | – | – | 5 | 1 | 3 | 3 | – | 2 | 30 |
| 8 **მონტოია** მაკლარენი, კოლუმბია | 4 | 5 | – | 6 | – | – | 8 | 3 | – | – | | | | | | | | | 26 |
| 9 **ჰაიდფელდი** BMW ზაუბერი, გერმანია | – | – | 5 | – | – | 1 | 2 | 2 | 2 | – | 1 | – | 6 | – | 1 | 2 | 1 | – | 23 |
| 10 **რ. შუმახერი** ტოიოტა, გერმანია | – | 1 | 6 | – | – | – | 1 | – | – | – | 5 | – | 3 | 2 | – | – | 2 | – | 20 |

დე ლა როსა — 19; ტრული — 15, კულტჰარდი— 14, ვილნევი, ვებერი — 7, კუბიცა— 6, როსბერგი — 4, კლიენი — 2, ლიუცი — 1 ქულა

■ პოულ-პოზიცია

**კონსტრუქტორთა თასი:** რენო 206, ფერარი 201, მაკლარენი 110, ჰონდა 86, BMW ზაუბერი 36, ტოიოტა 35, რედ ბული 16, უილიამსი 11, ტორო როსო 1



## NHL რეგულარული ჩემპიონატი

20 ოქტომბერი

**კოლუმბუსი 2:4 ტორონტო**
*0:0 1:3 1:1*
0:1 მაკკეიბი (30), 1:1 მალოტრა (32), 1:2 ველვუდი (38), 1:3 პეკა (38), 1:4 პოლი (54), 2:4 სვიტოვი (60)

**ფლორიდა 3:2 ფილადელფია**
*1:1 2:1 0:0*
1:0 შტუმპელი (3), 1:1 განიე (17), 1:2 განიე (27), 2:2 კოლნიკი (28), 3:2 იოკინენი (59)

**ბუფალო 5:4 კაროლინა**
*1:1 2:2 2:1*
0:1 უოქერი (6), 1:1 პომინვილი (10), 1:2 ე. სტაალი (29), 2:2 კალინინი (33), 3:2 აფინოგენოვი (34), 3:3 ბელანჟე (36), 4:3 ვანეკი (54), 5:3 შპაჩეკი (56), 5:4 კომოდორი (59)

**სენტ ლუისი 2:3 ვანკუვერი**
*1:0 0:0 1:2 0:1 (ოვერტაიმი)*
1:0 ჩაიანეკი (7), 2:0 სტემპნიაკი (46), 2:1 პაიეტი (48), 2:2 ნესლუნდი (60), 2:3 სალო (65)

**დალასი 5:4 ჩიკაგო**
*1:2 0:1 4:1*
1:0 მიეტინენი (5), 1:1 კუკონენი (16), 1:2 ბურკი (18), 1:3 ჰოლმკვისტი (40), 2:3 მოდანო (54), 3:3 ლეხტინენი (55), 3:4 ლაპოინტი (56), 4:4 რიბეირო (59), 5:4 ბუშე (60)

**ანაჰაიმი 2:1 მინესოტა**
*0:0 2:1 0:0*
1:0 ს. ნიდერმაიერი (24), 2:0 ოდონელი (31), 2:1 ბუშარი (33)

21 ოქტომბერი

**ბოსტონი 2:6 ბუფალო**
*1:2 1:2 0:2*
0:1 დრური (7), 1:1 ბრუკბანკი (9), 1:2 კოტალიკი (13), 1:3 პომინვილი (22), 1:4 აფინოგენოვი (23), 2:4 კესელი (24), 2:5 დრური (46), 2:6 ვანეკი (50)

**ატლანტა 4:2 ფლორიდა**
*0:0 2:1 2:1*
1:0 ჰოსა (24), 2:0 ვიჟე (25), 2:1 გრეტონი (39), 3:1 კოვალჩუკი (42), 3:2 ნიუენდაიკი (47), 4:2 ჰოსა (60)

**ვაშინგტონი 4:6 ტამპა**
*2:1 0:3 2:2*
0:1 ლეკავალიე (6), 1:1 ოვეჩკინი (7), 2:1 გრინი (17), 2:2 სენ ლუი (24), 2:3 ალექსეევი (24), 2:4 კარლსონი (40), 2:5 ალექსეევი (50), 3:5 სატერბი (53), 3:6 რიჩარდსი (54), 4:6 ოვეჩკინი (57)

**მონრეალი 8:5 კოლორადო**
*1:3 2:1 5:1*
0:1 საკიკი (16), 0:2 ბრიუნე (16), 0:3 შჩასტნი (17), 1:3 სურეი (18), 2:3 სურეი (25), 2:4 არნასონი (27), 3:4 სამსონოვი (30), 4:4 რაიდერი (41), 5:4 რივე (46), 5:5 ბრიუნე (49), 6:5 ჰიგინსი (51), 7:5 კოვალიოვი (53), 8:5 ჯონსონი (54)

**აილენდერსი 4:3 კაროლინა**
*0:0 1:0 2:3 1:0 (ოვერტაიმი)*
1:0 ბლეიკი (28), 2:0 იორკი (42), 2:1 უილიამსი (47), 2:2 უილიამსი (49), 2:3 ბრინდამორი (55), 3:3 სილინჯერი (57), 4:3 პოტი (61)

**ოტავა 8:1 ნიუ ჯერსი**
*2:1 5:0 1:0*
1:0 სპეცა (10), 1:1 ჯიონტა (15), 2:1 ჰითლი (17), 3:1 ვერმეტი (28), 4:1 კორვო (29), 5:1 პრისინგი (34), 6:1 ვერმენტი (34), 7:1 მაკემონდი (40), 8:1 მაკემონდი (45)

**პიტსბურგი 5:3 კოლუმბუსი**
*2:1 1:1 2:1*
1:0 უელე (3), 2:0 გონჩარი (8), 2:1 ბრიული (18), 2:2 მოდინი (28), 3:2 ჯ. სტაალი (35), 4:2 მალკინი (48), 5:2 ჯ. სტაალი (48), 5:3 ჟერდევი (56)

**ტორონტო 4:5 რეინჯერსი**
*2:2 1:2 1:0 0:0 (0:1 ბულიტები)*
0:1 დოუსი (6), 1:1 ტაკერი (12), 2:1 პონიკაროვსკი (18), 2:2 შენაპენი (20), 2:3 ნიულანდერი (24), 353 ტაკერი (27), 3:4 დ. უორდი (29), 4:4 ონილი (57)

**ნეშვილი 3:4 ვანკუვერი**
*1:2 2:0 0:1 0:1 (ოვერტაიმი)*
0:1 ბულისი (1), 1:1 ჰარტნელი (6), 1:2 პაიატი (17), 2:2 დიუმონი (24), 3:2 ერატი (27), 3:3 მორისონი (59), 3:4 კრაიჩეკი (63)

**ჩიკაგო 3:4 სენტ ლუისი**
*2:1 1:2 0:1*
1:0 ბურკი (7), 2:0 ვრბატა (7), 2:1 სტემპნიაკი (13), 2:2 სტემპნიაკი (21), 2:3 გერინი (31), 3:3 ოკოინი (35), 3:4 ჩაიანეკი (43)

**ფინიქსი 0:4 დალასი**
*0:1 0:1 0:2*
0:1 რიბეირო (10), 0:2 მოდანო (32), 0:3 ბუშე (44), 0:4 სიდორი (47)

**ედმონტონი 3:1 დეტროიტი**
*0:0 1:0 2:1*
1:0 სტეიოსი (23), 1:1 დაციუკი (42), 2:1 სიკორა (44), 3:1 ლუპული (56)

**სან ხოსე 1:4 მინესოტა**
*0:1 0:2 1:1*
0:1 პერიში (3), 0:2 ვეპო (27), 0:3 უოლნი (31), 0:4 როლსტონი (48), 1:4 მარლო (54)

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:00 | 12 | ქოვენთრი-კოლჩესტერი | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 576 | დანფერმლაინი-ჰიბერნიანი | 2.65 | 3.10 | 2.40 | 1.42 | 1.25 | 1.35 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:15 | 84 | კობლენცი-აუგსბურგი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 163 | ვერონა-ალბინოლეფე | 2.10 | 2.60 | 3.90 | 1.16 | 1.36 | 1.55 |
| | | **იტალია. სერია C1/B** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 184 | სტაბია-მარტინა | 1.50 | 3.10 | 8.00 | 1.01 | 1.26 | 2.23 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:30 | 231 | ტუარი-ბასტია | 2.80 | 2.70 | 2.55 | 1.37 | 1.33 | 1.31 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 304 | ნავალი-ბრაგა | 2.75 | 3.20 | 2.40 | 1.47 | 1.28 | 1.37 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 577 | პანათინაიკოსი-აეკ | 2.00 | 3.00 | 3.50 | 1.20 | 1.27 | 1.61 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:15 | 366 | ბრნო-ბოლესლავი | 2.55 | 2.80 | 2.70 | 1.33 | 1.31 | 1.37 |
| 21:00 | 367 | სლოვაცკო-სპარტა | 5.00 | 3.40 | 1.60 | 2.02 | 1.21 | 1.08 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 410 | ლილესტრიომი-ტრომსიო | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 426 | გიოტებორგი-კალმარი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 21:00 | 427 | ჰამარბი-ელფსბორგი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **24 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 516 | ბლექბერნი-ჩელსი | 4.40 | 3.40 | 1.70 | 1.91 | 1.22 | 1.13 |
| 22:45 | 517 | ჩარლტონი-ბოლტონი | 2.40 | 3.30 | 2.55 | 1.38 | 1.23 | 1.43 |
| 22:45 | 518 | ჩესტერფილდი-ვესტ ჰემი | 4.70 | 3.40 | 1.65 | 1.97 | 1.22 | 1.11 |
| 22:45 | 519 | ქრიუ-მანჩესტერი | 7.00 | 4.00 | 1.40 | 2.54 | 1.16 | 1.03 |
| 22:45 | 520 | ევერტონი-ლუტონი | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 22:45 | 521 | ლიდსი-საუთენდი | 2.10 | 3.30 | 3.00 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| 22:45 | 522 | ლესტერი-ასტონ ვილა | 4.50 | 3.30 | 1.70 | 1.90 | 1.23 | 1.12 |
| 22:45 | 523 | ლივერპული-რედინგი | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 22:45 | 524 | დონსი-ტოტენჰემი | 7.00 | 3.80 | 1.40 | 2.46 | 1.16 | 1.02 |
| 22:45 | 525 | ნიუკასლი-პორტსმუთი | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 22:45 | 526 | ნოტსი-საუთჰემპტონი | 3.80 | 3.30 | 1.80 | 1.76 | 1.22 | 1.16 |
| 22:45 | 527 | პორტ ვეილი-ნორვიჩი | 2.70 | 3.30 | 2.25 | 1.48 | 1.22 | 1.33 |
| 22:45 | 528 | შეფილდი-ბირმინგემი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 22:45 | 529 | უოტფორდი-ჰალი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 22:45 | 530 | ვესტ ბრომვიჩი-არსენალი | 4.50 | 3.40 | 1.70 | 1.93 | 1.23 | 1.13 |
| 22:45 | 531 | უიკომბი-დონკასტერი | 2.30 | 3.30 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 643 | ჰვ 71-მორა | 1.70 | 4.10 | 3.00 | 1.20 | 1.08 | 1.73 |
| 21:00 | 644 | ტიმრე-ლულეო | 1.60 | 4.10 | 3.30 | 1.15 | 1.07 | 1.82 |
| 21:00 | 645 | მალმიო-ბრიუნესი | 2.30 | 4.00 | 2.10 | 1.46 | 1.09 | 1.37 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10576 | დანფერმლაინი-ჰიბერნიანი | 3.20 | 2.00 | 2.85 | 1.23 | 1.50 | 1.17 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11576 | დანფერმლაინი-ჰიბერნიანი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | მეტ. | ნაკ. |
|---|---|---|---|
| 12576 | დანფერმლაინი-ჰიბერნიანი | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13576 | დანფერმლაინი-ჰიბერნიანი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14576 | დანფერმლაინი-ჰიბერნიანი | 1.90 | 1.80 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15576 | დანფერმლაინი-ჰიბერნიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16576 | დანფერმლაინი-ჰიბერნიანი | 2.00 | 1.60 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17576 | დანფერმლაინი-ჰიბერნიანი | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წადი, ჭკუაზე მოდი

## იმპერატორი ბრაზილიაში დედასთან გაუშვეს

მილანის „ინტერის“ ხელმძღვანელობამ ცოტა მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და ბრაზილიელი ფორვარდი ადრიანო სულ მცირე, ერთი კვირით მოაშორა გუნდს. „ნეროაძურის“ უფროსობის თქმით, ეს იმიტომ გაკეთდა, რომ „იმპერატორმა“ დაისვენოს და კლუბს დამშვიდებული დაუბრუნდეს. ადრიანო ბრაზილიაში ოჯახთან გაემგზავრა. იგი რიო დე ჟანეიროში რამდენიმე დღეს გაატარებს



შეგახსენებთ, რომ ადრიანოს „ინტერის“ მაისურით ოფიციალურ მატჩებში მარტის მერე გოლი არ გაუტანია და კრიტიკაც არ აკლია. ამბობენ, „ნეროაძური“ იანვარში მის განათხოვრებაზეც ფიქრობსო. ამ საკითხზე მილანელთა ხელმძღვანელობა ბრაზილიელის აგენტთან ჟილმარ რინალდისთან უახლოეს დღეებში იმსჯელებს.

ამ იდეის ერთ-ერთი ინიციატორი „ინტერის“ თავკაცი რობერტო მანჩინი გახლავთ. მას თავდასხმაში ახლა ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ერნან კრესპო, ხულიო რიკარდო კრუზი და ალვარო რეკობა ჰყავს. ადრიანომ გამოტოვა გუშინდელი მატჩი „უდინეზესთან“ და უკვე ცნობილია, რომ მომავალ ორ შეხვედრაში „ლივორნოსთან“ და მოსკოვის „სპარტაკთანაც“ არ ითამაშებს.

„ამაზე რამდენიმე დღე ვიფიქრეთ და საბოლოო გადაწყვეტილება ადრიანოსთან ერთად მივიღეთ. იგი ძალიან გადაღლილია და ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს. ამიტომ განტვირთვა ნამდვილად არ აწყენს. მერე კი დაგვიბრუნდება და ორმაგი შემართებით ივარჯიშებს. ჩვენ გვინდოდა, ადრიანო მალევე დაბრუნებულიყო და მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ცოტა ხანში გამოვიძახეთ. ალბათ, ამაში შევცდით, დასვენების დრო უნდა მიგვეცა. მუნდიალის მერე ბევრ მოთამაშეს ექმნება პრობლემა, ეს ბუნებრივია. მაგალითად, რონალდინიო — ამჟამად იგი მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშედ მოიაზრება, მაგრამ ჯერ ცუდ ფორმაშია“ — აღნიშნა მანჩინიმ.

„ინტერის“ გადაწყვეტილება არ მოსწონს ჟილმარ რინალდის: „უცნაურია, არ ველოდი თუ ადრიანოს მწვრთნელი და გუნდისგან მოკვეთდა. როცა ფეხბურთელს ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად უჭირს, უფრო მეტი უნდა ივარჯიშოს და თანაგუნდელებთან ახლოს იყოს... იქნებ უკეთესი ყოფილიყო, სითბო მისთვის კლუბში ეგრძნობინებინათ და ამისთვის ბრაზილიაში არ გაეშვათ. ახლა ადრიანო ზედმეტად ნელია და მეტოქეების ჩამოშორება უჭირს. ამიტომ ბევრი ვარჯიში სჭირდება. მან უნდა გაიგოს, რომ იტალიაში თუ ბევრს არ ირბენ და იმოძრავებ, „კატანისთანაც“ გაგიჭირდება თავის გამოჩენა.“

მოგეხსენებათ, ცოტა ხნის წინ შვედურმა გაზეთმა „აფტონბლადეტმა“ საინტერესო სურათები დაბეჭდა, სადაც ადრიანო რამდენიმე გოგონასთან ერთად ღლაბუცობს. ბევრმა „ინტერის“ გადაწყვეტილება ამასაც დაუკავშირა.

„იმ სურათებს ამ ამბავთან არანაირი კავშირი არ აქვს. ეს ადრიანოს პირადი საქმეა, რომელში ქექვაც არ მინდა და უფლებაც არ მაქვს. ვინ იცის, როდის არის ის სურათები გადაღებული? ეგებ არდადეგების დროინდელი წვეულებაა, როცა ადრიანოს უფლება ჰქონდა, ყველაფერი გაეკეთებინა, რაც სურდა“ — დასძინა მანჩინიმ.

**გიორგი ძაძაბაძე**



# პლატინი ბოზბოლებს ყურებს დააჭრის

**უეფას** პრეზიდენტობის კანდიდატმა მიშელ პლატინიმ თქვა, რომ თუ იგი არჩევნებში გაიმარჯვებს, ჩემპიონთა ლიგაში ერთი ქვეყნიდან სამ გუნდზე მეტი ვერ მოხვდება. არჩევნებში მისი კონკურენტი კი ამჟამინდელი პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონია. პლატინი ჩემპიონთა ლიგის ფორმატის შეცვლას არ აპირებს, მაგრამ მისი აზრით, ოთხი გუნდი ერთი ქვეყნიდან უკვე ზედმეტია. თუ ფრანგმა გაიმარჯვა, პრემიერლიგას, პრიმერადივიზიონსა და სერია A-ს ჩემპიონთა ლიგაში სამ-სამი კლუბით დაკმაყოფილება მოუწევთ.

„ოთხი გუნდი ძალიან ბევრია — თვითონ ქვეყნებისთვისაც, ქომაგებისთვისაც და ტელეტრანსლაციებისთვისაც, სამი კი საუკეთესო ვარიანტია. ჯგუფურ ეტაპზე 32 გუნდია და აქედან უმეტესობა თავისი ქვეყნის ჩემპიონი არ არის, ეს კი არასწორად მიმაჩნია.“

მიშელ პლატინი ევროპულ ფეხბურთში რევოლუციის არა, მაგრამ ევოლუციის მომხრეა. რაც შეეხება ვიდეოგამეორებას სადავო ეპიზოდებში, ლეგენდარული ფრანგი ამის მოწინააღმდეგეა. „ფაქტია, რომ მთავარ მსაჯს დახმარება სჭირდება და, ალბათ, ორი გვერდითი მსაჯის დამატება საუკეთესო გამოსავალი იქნება. ისინი დაეხმარებიან თამაშგარე მდგომარეობის გარკვევაშიც და გოლის ჩათვლა-არჩათვლაშიც, ბურთმა გადაკვეთა თუ არა კარის ხაზი. ვიდეოგამეორებას თუ მივმართეთ, ფეხბურთი გაფუჭდება. ვიდეოთი რომ დავიწყოთ, ამითვე უნდა დავამთავროთ და მაშინ რაღა საჭიროა მსაჯი?“ — თქვა პლატინიმ.

არჩევნებში, რომელიც 2007-ის იანვარში გაიმართება, მიშელ პლატინის მხარს უჭერს ტიერი ანრი: „მან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში თავისი სიტყვა თქვა, როგორც მოთამაშემ და კარგი იქნება, თუ ასევე იმუშავებს მოედნის გარეთაც. ფეხბურთელებს უეფას პრეზიდენტად ისეთი კაცი გვჭირდება, რომელიც ჩვენს პრობლემებს მიხედავს.“

**ირაკლი ნინიძე**

# მორატი მაურინიუს აგენტით ეპატიჟება

**პორტუგალიელ** მწვრთნელ ჟოზე მაურინიუს „ინტერში“ შესაძლო გადასვლაზე დიდი ხანია, საუბრობენ და ახლა ეს ჭორები უფრო გამყარდა. ბრიტანული პრესის ცნობით, „ნეროაძურის“ მფლობელი მასიმო მორატი უკვე ესაუბრა მაურინიუს აგენტ ჟორჟე მენდესს.

ამბობენ, მაურინიუ ამ ზაფხულს „ჩელსიდან“ წასვლაზე ფიქრობდა და ეს სეზონი მისთვის ბოლო იქნება „სტემფორდ ბრიჯზეო“. პორტუგალიელი ლონდონურ კლუბში წელიწადში 5 მილიონ გირვანქას იღებს. ეს მართლაც სოლიდური ხელფასია, მაგრამ მორატის მისი გადახდა არ გაუჭირდება.

„ინტერი“ მშვენიერი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, მაგრამ სათანადოდ თამაშს ვერ ახერებს და გუნდის ახლანდელ მწვრთნელ რობერტო მანჩინის დიდი ხანია, წყალი შეუდგა.

„მისტერ მორატის ძალიან სურს, „ინტერის“ მწვრთნელად ჟოზე მაურინიუ იხილოს, თუ რობერტო მანჩინი დატოვებს პოსტს. მაურინიუ კანდიდატთა სიაში პირველია და მასიმო მორატი უკვე ესაუბრა მის აგენტ ჟორჟე მენდესს“ — უთქვამს მორატისთან დაახლოებულ პირს.

**გიორგი ძაძაბაძე**



# თქვენი ვარ ოჯახიანად

**ვიგოს** „სელტამ“ მეკარე ხოსე მანუელ პინტოსთან კონტრაქტი გაახანგრძლივა. 31 წლის ვეტერანი „ბალაიდოსზე“ 2010 წლამდე დარჩება. მას რამდენიმე მსურველი ჰყავდა, მაგრამ გალისიურმა კლუბმა ან ნაბიჯით ყველას მიანიშნა, პინტო არ იყიდებაო.

პინტო „სელტაში“ ცხრა წლის წინ სევილიური „ბეტისიდან“ გადავიდა და ბოლო წლებში ვიგოელთა შეუცვლელი პირველი ნომერია.

„ორი მცირე პრობლემა გვქონდა, მაგრამ ყველაფერი მალევე შევათანხმეთ და ორივე მხარე კმაყოფილია. ხოსემ თქვა, რომ „სელტაში“ თავს კარგად გრძნობს და იგი თავის ოჯახთან ერთად ვიგოს ეკუთვნის. ჩვენ კი მისი კვლავ გვეიმედება, ბრწყინვალე მეკარეა და გუნდში რჩება“ — თქვა „სელტას“ დირექტორმა ფელიქს კარნერომ.

**ძოძი ძანდელაძი**




ხოსე მანუელ პინტო

# შევჩენკოც ხალხში გაერია

## ინგლისი
### პრემიერლიგა
### IX ტური

**ბლექბერნი 0:1 ბოლტონი**

0:1 კამპო (62)

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ემერტონი, ოიერი, ხიზანიშვილი, ნილი, ბენტლი, თუგაი (პეტერი 81), სევიჯი (მოკოენა 74), პედერსენი (რობერტსი 74), მაკკარტი, ნონდა

მწვრთნელი: მარკ ჰიუზი

**ბოლტონი:** იასკელაინენი, ბენ ჰაიმი, ჰანტი, მეიტე, კამპო, ფეიე (ფორჩუნი 46), ნოლანი, სპიდი, კ. დევისი, ანელკა (იანაკოპულოსი 90), დიუფი (ვაზ ტე 81)

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

გაფრთხილება: სევიჯი, ფორჩუნი, ნილი, ნოლანი, ნოლანი

გაძევება: ნოლანი (90)

მსაჯი: დინი

27 662 მაყურებელი

**მანჩესტერი 2:0 ლივერპული**

1:0 სქოულზი (39), 2:0 ფერდინანდი (66)

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, გ. ნევილი (ოში 78), რ. ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა (ვ. ბრაუნი 90), ფლეტჩერი, კარიკი, სქოულზი, გიგზი, რუნი, საა

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

**ლივერპული:** ხ. რეინა, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, სისოკო, ჯერარდი, ხაბი ალონსო (კრაუჩი 70), მ. გონსალესი (პენანტი 52), ლუის გარსია, კუიტი

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: სისოკო, ვიდიჩი, ფინანი, კრაუჩი

მსაჯი: პოლი

75 828 მაყურებელი

**ჩელსი 2:1 პორტსმუთი**

1:0 შევჩენკო (55), 2:0 ბალაკი (57), 2:1 მვარუვარი (69)

**ჩელსი:** ილარიო, რ. კარვალიუ, პ. ფერეირა, ტერი, ე. კოული, ესიენი, ლამპარდი, ბალაკი (ბულარუზი 90), რობენი (ჯ. კოული 66), შევჩენკო (მაკელელე 76), დროგბა

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, პრიმუსი, პამარო, ს. კემპბელი, ტეილორი, ონილი, პ. მენდეში (ტომპსონი 83), ფერნანდესი (კოული 58), კრანჩარი, მვარუვარი, კანუ (დევისი 46)

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

გაფრთხილება: შევჩენკო, ბალაკი, კოული, პამარო, მენდეში

მსაჯი: კლატენბურგი

41 838 მაყურებელი

**რედინგი 0:4 არსენალი**

0:1 ანრი (1), 0:2 გლები (39), 0:3 ვან პერსი (50), 0:4 ანრი (70პ)

**რედინგი:** ჰანემანი, დე ლა კრუზი (გუნარსონი 46), ინგიმარსონი, შორი, სონკო, ჰარპერი, ჰანტი, სეოლი (ოსტერი 77), სიდუელი, დოილი, ლონგი (ლიტლი 73)

მწვრთნელი: სტივ კოპელი

**არსენალი:** ლემანი, ჰოიტი, ტურე, ჟურუ, გალასი, გლები (ადებაიორი 73), ფაბრეგასი, ჟილბერტო სილვა, როსიცკი (ა. სონგი 77), ანრი, ვან პერსი (უოლკოტი 73)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

მსაჯი: ვაილი

24 004 მაყურებელი

**ასტონ ვილა 1:1 ფულემი**

1:0 ბერი (26პ), 1:1 ფოლცი (45)

**ასტონ ვილა:** სორენსენი, მელბერგი, ჰიუზი, ლოურენსი, რიჯველი, აგბონლაჰორი, დევისი (ოზბორნი 83), ბერი, პეტროვი, ანხელი (სატონი 75), ბაროში (აგატე 46)

მწვრთნელი: მარტინ ონილი

**ფულემი:** ნიემი, ნაითი, პირსი, როსენიორი, კედრუ, ბრაუნი, ბოკანეგრა, ფოლცი, კ. იენსენი, რაძინსკი, მაკბრაიდი (ჯონი 72)

მწვრთნელი: კრის კოულმენი

გაფრთხილება: ნაითი, კედრუ

მსაჯი: ფოი

30 919 მაყურებელი

**ტოტენჰემი 1:0 ვესტ ჰემი**

1:0 მიდო (45)

**ტოტენჰემი:** რობინსონი, ასუ-ეკოტო, ჩიმბონდა, დოუსონი, ჰადლსტოუნი, კინგი, დავიდსი, ჯენასი, ლენონი (ჯალი 78), დეფო (კინი 77), მიდო

მწვრთნელი: მარტინ იოლი

**ვესტ ჰემი:** გრინი, ე. ფერდინანდი, გაბიდონი, კონჩესკი, მალინსი, პანცილი, ბენაიუნი (კ. კოული 78), მასკერანო (ტევესი 68), ჰერვუდი (დეილი 82), ზამორა

მწვრთნელი: ალან პერდიუ

გაფრთხილება: კონჩესკი, მასკერანო, დეფო, მიდო, ჰერვუდი, დავიდსი, პანცილი

მსაჯი: ბენეტი

36 162 მაყურებელი

**უიგანი 4:0 სიტი**

1:0 ჰესკი (2), 2:0 დანი (4ს.კ.), 3:0 კამარა (65), 4:0 ვალენსია (67)

**უიგანი:** კირკლანდი, დეზეუვი, ბოისი, ჰალი (ვებსტერი 46), ბაინესი, ვალენსია (ტილი 83), სკოკო (ლანძაატი 30), შერნერი, კილბეინი, ჰესკი, კამარა

მწვრთნელი: პოლ ჯუელი

**სიტი:** ვივერი, რიჩარდსი, მილსი (ვასელი 60), დანი, ჯორდანი, სინკლერი, ჯონსონი, ჰამანი (დიკოვი 46), ბარტონი, სამარასი, კორადი

მწვრთნელი: სტიუარტ პირსი

გაფრთხილება: ვებსტერი, ჰამანი

მსაჯი: დაუდი

16 235 მაყურებელი

**ჩარლტონი 0:0 უოტფორდი**

**ჩარლტონი:** კარსონი, ელ კარკური, იანგი, ჰრეიდარსონი, დიავარა, ფაიე, ჰოლანდი, რიდი, რომედალი, ტომასი (ჰასელბაინკი 77), დ. ბენტი

მწვრთნელი: იან დოუვი

**უოტფორდი:** ფოსტერი, დოილი, დემერიტი, შიტუ, სტიუარტი, ფრენსისი, მაჰონი, ბუასა (პაუელი 90), იანგი, ჰენდერსონი, სმიტი

მწვრთნელი: ადრიან ბოთროიდი

გაფრთხილება: ჰოლანდი, დ. ბენტი

მსაჯი: მეისონი

27 011 მაყურებელი

**ევერტონი 2:0 შეფილდი**

1:0 არტეტა (13), 2:0 ბიტი (33პ)

**ევერტონი:** ჰოვარდი, ლესკოტი, ნევილი (ანიშებე 78), იობო, ვეირი, კარსლი, არტეტა, კეჰილი (ოსმანი 56), დევისი, ბიტი (მაკფადენი 56), ჯონსონი

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

**შეფილდი:** კენი, არმსტრონგი, ბრომბიუ, დევისი, ლეიგერტვუდი, გილესპი (კაბა 63), იაგილკა, ქუინი (მორგანი 53), ტონგა, კ. რიჩარდსი (უებერი 56), ჰალსი

მწვრთნელი: ნილ უორნოკი

გაფრთხილება: ტონგე

გაძევება: დევისი (32)

მსაჯი: გალაჰერი

37 900 მაყურებელი

**მიდლსბრო 1:0 ნიუკასლი**

1:0 აიეგბენი (85)

**მიდლსბრო:** შვარცერი, ე. დევისი, პოგატეცი, ე. ტეილორი (ჰუთი 46), ვუდგეიტი, ჯ. ბოატენგი, კეტერმოლი, დაუნინგი, იუელი (მაკარონე 77), ვიდუკა (როჩემბაკი 46), აიეგბენი

მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი

**ნიუკასლი:** ჰარპერი, კარი, კ. მური, რიმეიჯი, ბათი, დაფი, მილნერი, პარკერი, სიბიერსკი (ამეობი 30), ს. ტეილორი, მარტინსი

მწვრთნელი: გლენ რიოდერი

გაფრთხილება: როჩემბაკი, მაკარონე

მსაჯი: ატკინსონი

30 060 მაყურებელი



სად არ გაძვრება ბურთისთვის რუნი

### 30 მილიონგირვანქიანმა

შევჩენკომ ორ თვეში მეორე პრემიერლიგური გოლი გაიტანა და მაურინიუ გაახარა. მაურინიუმ კი „ჩელსის" ქომაგები გაამხიარულა, როცა მოედნის კიდესთან მიირბინა, ჯერაც აუტში გადაუსვლელი ბურთი აკენწლა და უკან დააბრუნა. მსაჯმა მწვრთნელი გააფრთხილა და არც უკრაინელისთვის დაზარებია ყვითელი ბარათის ამოღება, როცა გოლით გახარებული შევჩენკო გულშემატკივრებში გაერია და მათგან მილოცვებს თავში წამოტყაპუნებით იღებდა. ყვითელი დაიმსახურა მიხაელ ბალაკმაც — ასევე მაყურებლებში შევარდნის გამო, თუმც შევჩენკოსა და ბალაკის გოლებით გამოწვეული სიხარული იმდენად დიდი იყო, რომ ეს არავის უდარდია.

„როგორც იქნა, გაიტანა და ეგებ რწმენა შეემატოს — თქვა მაურინიუმ შევჩენკოზე — ახლა ორი აქვს და დროგბას დაწევა შეუძლია. თუმცა ეს არაა მხოლოდ ორი კაცის შეჯიბრი. ბედნიერი ვიქნები, თუ მათგან ერთი 15-ს, მეორე კი 14-ს გაიტანს სეზონში. ფაქტია, რომ შევჩენკო მატჩიდან მატჩამდე უმატებდა, მაგრამ უიღბლობა სდევდა. ახლაც პირველ ტაიმში მისი დარტყმული დევიდ ჯეიმსმა სასწაულებრივ მოიგერია და მეგონა, რომ უკრაინელი ვეღარასოდეს გაიტანდა."

ჟოზე მაურინიომ ნახევარდაცვაც შეაქო, რომელმაც „ბარსასთან" მძიმე მატჩის შემდეგ კვლავაც კარგად ითამაშა. „ბარსელონასთან" სამივე ნახევარმცველმა 12 კილომეტრზე მეტი ირბინა, მაგრამ „პორტსმუთთან" მაინც ყოჩაღად გამოიყურებოდნენ. მიხაელ ბალაკმა გულიანად იშრომა და არიენ რობენიც კარგად გაისარჯა. მან „ბარსასთან" ათი წუთი ითამაშა და სხვებზე უფრო უკეთ ამიტომაც ითამაშა."

პირველ ტაიმში დევიდ ჯეიმსმა ისეთი ბურთები მოიგერია, რომ არაერთხელ შემოარტყმევინა თავში ხელი „ჩელსის" ქომაგებს, მაგრამ მეორეში გატყდა. ანდრეი შევჩენკომ, რომელსაც 23 აგვისტოს აქეთ გოლი არ გაეტანა, რობენისგან პასი მიიღო და ჯეიმსი უშანსოდ დატოვა. ორი წუთის შემდეგ კი დროგბას თავურ პასს ბალაკმა თავი შეაგება და სხვაობა ორამდე გაზარდა. „პორტსმუთიც" არ იყო ჯაბანი და თამაშის ბოლოს „ჩელსის" საჯარიმოში იტრიალა, რასაც ილარიოს კარში ბენჯანის გოლი მოჰყვა, თუმც სტუმრებმა გათანაბრება ვეღარ მოახერხეს. არადა, მომენტები ჰქონდათ.

„მანჩესტერმა" გაბეჩავებულ „ლივერპულს" მოუგო და კვლავ ცხრილის თავში დაბრუნდა. პოლ სქოულზისთვის ეს მე-500 მანჩესტერული მატჩი იყო და პირველი გოლი სწორედ მან შეაგდო — კარის ხაზზე მიუსწრო ბურთს და გაშლილი ფეხით შეტენა ბადეში. ხოლო მეორე ტაიმში რიო ფერდინანდმა ითამაშა ფორვარდივით, მცველი ჩამოიშორა და მარცხენა ფეხით ცხრიანში შეჭედა ბურთი. „ლივერპული" უკვე 11 ქულით ჩამორჩება „მანჩესტერს", არადა, ჩემპიონატი სულ ორი თვის დაწყებულია. რაფაელ ბენიტესის გუნდმა ასე თუ გააგრძელა, ორი წლის წინ მოგებული ჩემპიონთა თასით ქომაგებს ვეღარ დააპურებს. ესპანელი იმიტომ დატოვეს პორტზე, რომ პრემიერლიგა მოეგო, „ლივერპული" კი საჩემპიონო გუნდს არაფრით არ ჰგავს.

„მანჩესტერი" მთელი თამაშის განმავლობაში სჯობნიდა მეტოქეს და ოხრად საგოლე მომენტიც შექმნა ხოსე რეინას კართან — ესპანელ მეკარეს საქმე გამოულევად ჰქონდა, ვან დერ სარი კი ოდენ მაყურებელი იყო. ბენიტესმა ერთი ფორვარდით თამაში არჩია და ამით ხეირი ვერ ნახა — დირკ კუიტი გუნდისგან მოწყვეტილი დარბოდა და ცოდვილობდა, ხოლო მეორე ტაიმში შესულმა პიტერ კრაუჩმა ერთი ის გაახერხა, რომ ვან დერ სარს უწყინარ ვითარებაში გრძელი ფეხები ცელვით გამოუსვა და ყვითელი ბარათი მიიღო.

**ვაჟა ხუციშვილი**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ე. ჯონსონი (ევერტონი) | 6 |
| კანუ (პორტსმუთი) | 6 |
| ზამორა (ვესტ ჰემი) | 5 |
| დროგბა (ჩელსი) | 5 |
| ანრი (არსენალი) | 5 |
| დ. ბენტი (ჩარლტონი) | 5 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 9 | 7 | 1 | 1 | 19:5 | 22 |
| ჩელსი | 9 | 7 | 1 | 1 | 15:5 | 22 |
| ბოლტონი | 9 | 6 | 2 | 1 | 10:4 | 20 |
| არსენალი | 8 | 5 | 2 | 1 | 15:4 | 17 |
| პორტსმუთი | 9 | 5 | 1 | 3 | 13:5 | 16 |
| ევერტონი | 9 | 4 | 4 | 1 | 15:8 | 16 |
| ასტონ ვილა | 9 | 3 | 6 | 0 | 11:6 | 15 |
| ფულემი | 9 | 3 | 4 | 2 | 11:14 | 13 |
| რედინგი | 9 | 4 | 1 | 4 | 9:12 | 13 |
| ბლექბერნი | 9 | 3 | 3 | 3 | 9:11 | 12 |
| ლივერპული | 9 | 3 | 2 | 4 | 9:11 | 11 |
| მიდლსბრო | 9 | 3 | 2 | 4 | 9:13 | 11 |
| ტოტენჰემი | 9 | 3 | 2 | 4 | 6:10 | 11 |
| სიტი | 9 | 2 | 3 | 4 | 6:13 | 9 |
| უიგანი | 8 | 2 | 2 | 4 | 11:11 | 8 |
| ნიუკასლი | 9 | 2 | 1 | 6 | 7:13 | 7 |
| შეფილდი | 9 | 1 | 3 | 5 | 4:12 | 6 |
| უოტფორდი | 9 | 0 | 5 | 4 | 7:13 | 5 |
| ვესტ ჰემი | 9 | 1 | 2 | 6 | 6:13 | 5 |
| ჩარლტონი | 9 | 1 | 1 | 7 | 6:15 | 4 |

**X ტური**

28 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| სიტი | : | მიდლსბრო |
| ნიუკასლი | : | ჩარლტონი |
| პორტსმუთი | : | რედინგი |
| შეფილდი | : | ჩელსი |
| უოტფორდი | : | ტოტენჰემი |
| ვესტ ჰემი | : | ბლექბერნი |
| არსენალი | : | ევერტონი |
| ბოლტონი | : | მანჩესტერი |
| ფულემი | : | უიგანი |
| ლივერპული | : | ასტონ ვილა |

## ჩემპიონატი
### XIII ტური

დერბი — ბირმინგემი 0:1; ლესტერი — კრ. პალასი 1:1; ლუთონი — ლიდსი 5:1; ნორვიჩი — კარდიფი 1:0; პლიმუთი — ბარნლი 0:0; პრესტონი — ჰალი 2:1; უენსდი — ქუინზ პარკი 3:2; საუთჰემპტონი — სტოკი 1:0; საუთენდი — იფსვიჩი 1:3; სანდერლენდი — ბარნსლი 2:0; ვესტ ბრომვიჩი — ვულვზი 3:0. ქოვენთრი — კოლჩესტერი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარდიფი | 13 | 8 | 3 | 2 | 24:10 | 27 |
| პრესტონი | 13 | 7 | 5 | 1 | 20:12 | 26 |
| ვესტ ბრომვიჩი | 13 | 7 | 4 | 2 | 24:11 | 25 |
| ბარნლი | 13 | 6 | 4 | 3 | 20:12 | 22 |
| ლუთონი | 13 | 6 | 4 | 3 | 23:18 | 22 |
| ვულვზი | 13 | 7 | 1 | 5 | 10:13 | 22 |
| პლიმუთი | 13 | 5 | 6 | 2 | 20:15 | 21 |
| ბირმინგემი | 13 | 6 | 3 | 4 | 17:15 | 21 |
| საუთჰემპტონი | 13 | 5 | 4 | 4 | 18:15 | 19 |
| დერბი | 13 | 5 | 3 | 5 | 18:18 | 18 |
| ნორვიჩი | 13 | 5 | 3 | 5 | 20:21 | 18 |
| კრ. პალასი | 13 | 5 | 3 | 5 | 15:16 | 18 |
| კოლჩესტერი | 12 | 5 | 2 | 5 | 17:14 | 17 |
| ლესტერი | 13 | 4 | 5 | 4 | 12:13 | 17 |
| იფსვიჩი | 13 | 5 | 2 | 6 | 20:22 | 17 |
| ქოვენთრი | 12 | 5 | 1 | 6 | 11:11 | 16 |
| სანდერლენდი | 13 | 5 | 1 | 7 | 18:20 | 16 |
| სტოკი | 13 | 3 | 6 | 4 | 15:13 | 15 |
| ქუინზ პარკი | 13 | 3 | 4 | 6 | 18:22 | 13 |
| უენსდი | 13 | 3 | 4 | 6 | 11:17 | 13 |
| ბარნსლი | 13 | 3 | 3 | 7 | 18:27 | 12 |
| ლიდსი | 13 | 3 | 2 | 8 | 11:25 | 11 |
| საუთენდი | 13 | 2 | 4 | 7 | 12:23 | 10 |
| ჰალი | 13 | 2 | 3 | 8 | 9:18 | 9 |

## პირველი ლიგა
### XV ტური

ბორნმუთი — როტერჰემი 1:3; ბრედფორდი — სკანთორპი 0:1; ბრენტფორდი — ჯილინგემი 2:2; ბრაიტონი — ნორთჰემპტონი 1:1; კარლაილი — ტრანმერი 1:0; ქრიუ — ბლეკპული 1:2; დონკასტერი — ჩესტერფილდი 1:0; ლეიტონი — ჩელტენემი 2:0; ნოტინგემი — ბრისტოლი 1:0; პორტ ვეილი — ჰადერსფილდი 1:2; იოვილი — ოლდემი 1:0; სუონსი — მილუოლი 2:0

## მეორე ლიგა
### XV ტური

ჩესტერი — ჰარტლპული 2:1; აკრინგტონი — უოლსოლი 1:2; როვერსი — მაკლსფილდი 0:0; ბერი — ბოსტონი 2:1; დარლინგტონი — ბარნეტი 2:0; გრიმსბი — ნოტსი 0:2; ლინკოლნი — როჩდეილი 7:1; მენსფილდი — რექსემი 3:0; მილტონი — ჰერეფორდი 1:3; შრუსბერი — სუინდონი 1:2; სტოკპორტი — ტორკი 1:0; უიკომბი — პიტერბრო 2:0

## კონფერენსლიგა
### XVII ტური

კემბრიჯი — ოქსფორდი 0:3; ალდერშოტი — მორიკომბი 0:1; ალტრინჩემი — საუთპორტი 2:1; დაგენემი — კიდერმინსტერი 1:3; ექსეტერი — სტეფორდი 1:2; ფორესტ გრინი — ქროული 1:0; გრეივსენდი — უოკინგი 1:0; ჰალიფაქსი — ბარტონი 1:2; სენტ ალბანსი — გრეისი 0:6; სტივენიჯი — ნორსვიჩი 0:2; ტემფორთი — იორკი 2:2; ვეიმუთი — რაშდენი 1:1

# მაღლიდან მუსიკა და ხარხარი ისმის



ლევან კობიაშვილმა წლევანდელ ბუნდესლიგაში გოლების ანგარიში გახსნა

## გერმანია
## ბუნდესლიგა VIII ტური

### შალკე 2:1 ჰანოვერი

1:0 ბაირამოვიჩი (18), 2:0 კობიაშვილი (27), 2:1 როზენტალი (52)
შალკე: ფ. როსტი, რაფინია, ჰოოგლანდი, დ. როდრიგესი, კრსტაიჩი, ბაირამოვიჩი, ჰამიტ ალტინტოპი (გ. ვარელა 84), კობიაშვილი, ლინკოლნი, ჰალილ ალტინტოპი (ბოენიში 90), კურანი (ლოვენკრანდსი 72)
მწვრთნელი: მირკო სლომკა
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, ფარენჰორსტი, ზურავი, ტარნატი (იენდრიშეკი 80), ვინისიუსი (შრიოტერი 66), ბალიტჩი (იანკოვი 46), როზენტალი, შტაინერი, ჰუშტი, ჰაშემიანი
მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი
გაფრთხილება: ბაირამოვიჩი, ბალიტჩი, ლინკოლნი, ფარენჰორსტი, როდრიგესი, ტარნატი, შტაინერი
მსაჯი: ფლაიშერი
61 031 მაყურებელი

### ვერდერი 3:1 ბაიერნი

1:0 დიეგო (11), 2:0 ვომე (34), 2:1 მაკაი (37), 3:1 ლუსიო (62ს.კ.)
ვერდერი: ვიზე, კ. ფრიცი, მერტესაკერი, ნალდო, ვომე, ბაუმანი, ფრინგსი, ვრანიეში (ლ. ანდრეასენი 84), დიეგო (ჰასანინი 90), კლოზე, ჰუნტი (უგო ალმეიდა 80)
მწვრთნელი: თომას შააფი
ბაიერნი: კანი, სანიოლი, ლუსიო (დემიკელისი 74), ვან ბუიტენი, ლამი, ოტლი, ვან ბომელი (სალიჰამიჯიჩი 67), შვაინშტაიგერი, კ. პიზარო, პოდოლსკი (ქარიმი 67), მაკაი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: დიეგო, შვაინშტაიგერი, სანიოლი
მსაჯი: ფანდელი
42 500 მაყურებელი

### ჰერტა 2:1 მიონხენგლადბახი

1:0 დარდაი (50), 1:1 ნოივილი (63), 2:1 პანტელიჩი (73)
ჰერტა: ფიდლერი, ა. ფრიდრიხი, ვან ბურიკი (სამბა 70), შიმუნიჩი, ფატი, დარდაი, კაირო (ჩაჰედი 77), კ. ბოატენგი, ბაშთურქი, ს. ოკორონკვო (ლაკიჩი 74), პანტელიჩი
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
მიონხენგლადბახი: კელერი, კირხი (ფლესერსი 78), ლეველსი, ზე ანტონიო, კომპერი, ტიისი, კლუგე, დელურა, ინსუა (ჲ. დეგენი 61), ნოივილი, კაჰე (რაფაელი 61)
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
გაფრთხილება: ინსუა
მსაჯი: მერკი
43 604 მაყურებელი

### დორტმუნდი 1:1 ბოხუმი

0:1 გეკასი (31), 1:1 შმოლარეკი (35)
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, კრინგე, ბრჟენსკა (ამედიკი 55), ვიორნსი, დედე, კრუშკა, ტინგა (ფ. დეგენი 69), რიკენი (ნ. ვალდესი 60), პიენაარი, ფრაი, შმოლარეკი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
ბოხუმი: ბადე, ო. შრიოდერი, მალტრიცი, ბუტჩერი, პ. ბიონიგი, ცდებელი, დაბროვსკი, ტროიანი (გროტე 87), მისიმოვიჩი, გეკასი, ფაბიო ჟუნიორი (ილიჩევიჩი 77)
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
გაფრთხილება: ბრჟენსკა, ცდებელი
მსაჯი: შიპელი
75 100 მაყურებელი

### ვოლფსბურგი 1:1 შტუტგარტი

1:0 ჰანკე (26), 1:1 გომეში (31)
ვოლფსბურგი: იენჩი, კიროგა (მენსეგეში 71), მადლუნგი, ჰოფლანდი, შარპეი, ვან დერ ლეიგტე, ალექსი, მაკიადი, კრჟინოვეკი, ჰანკე, ბოაკიე (კარჰანი 83)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ოსორიო, ტასკი, დელპიერი, ბოკა, პარდო, ჰიბერტი (ბიროფკა 86), ხედირა (ჰიცლშპერგერი 63), და სილვა, კაკაუ (ტომასონი 73), გომეში
მწვრთნელი: არმინ ფეე
გაფრთხილება: ვან დერ ლეიგტე
მსაჯი: ვაგნერი
21 927 მაყურებელი

### ლევერკუზენი 1:2 ჰამბურგი

1:0 ვორონინი (40), 1:1, 1:2 გერერო (70, 86)
ლევერკუზენი: ბუტი, ჰაგუი, მადუნი (შტენმანი 69), ჟუანი, შვეგლერი, როლფსი, ბ. შნაიდერი, ბარნეტა (ფრაიერი 75), ბარბარესი, ვორონინი, კისლინგი (ტურე 46)
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
ჰამბურგი: კირშტაინი, კლინგბილი, კომპანი, მატიისენი, ატუბა, ფილჰაბერი, ტროხოვსკი (კარლი 88), სორინი, ვან დერ ვაარტი (ფილინგერი 76), ლიუბოია (გერერო 69), სანოგო
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: ბარბარესი, ვან დერ ვაარტი
მსაჯი: დრეესი
22 500 მაყურებელი

### აინტრახტი 2:2 ნიურნბერგი

1:0 ამანატიდისი (43), 1:1 საენკო (5), 1:2 პინოლა (51), 2:2 შტრაიტი (57)
აინტრახტი: პრიოლი (ნიკოლოვი 71), პ. ოხსი, კირიაკოსი, ვასოსკი, შპიხერი, მ. ფინკი, ჰუგელი, ა. შტრაიტი, ვაისენბერგერი (ა. მეიერი 70), ტურკი (კიოლერი 61), ამანატიდისი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
ნიურნბერგი: რ. შეფერი, დ. რაინჰარდტი, ა. ვოლფი, გლაუბერი, პინოლა, გალაშეკი, მნარი, პოლაკი (გრეშკო 85), ვიტეკი (ბანოვიჩი 82), საენკო, შროტი
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
გაფრთხილება: ვიტეკი, ვოლფი, ბანოვიჩი
მსაჯი: კირხერი
50 300 მაყურებელი

### არმინია 1:0 მაინცი

1:0 ვესტერმანი (73)
არმინია: ციგლერი, კორჟინეცი, ვესტერმანი, გაბრიელი, შულერი, კაუფი, კუჩერა, კამპერი (მასმანიდისი 66), ბიომე (დ. კობილიკი 87), ზუმა, ვიშნიარეკი (ტ. მარქსი 90)
მწვრთნელი: თომას ვონ ჰესენი
მაინცი: ვახე, დუ-რი ჩა (იოვანოვიჩი 82), მ. ფრიდრიხი, ნოველსკი, როზე, ბაბაცი, ფ. გერბერი, ფიულნერი (აზაუაგი 68), ამრი, საბიჩი (დამი 84), ედუ
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
გაფრთხილება: კორჟინეცი, ამრი, ზუმა, გერბერი, აზაუაგი
მსაჯი: შტარკი
19 260 მაყურებელი

### ალემანია 1:2 კოტბუსი

1:0 რეგეკამპფი (16), 1:1 მუნტიანუ (65), 1:2 როსტი (75)
ალემანია: ნიხტი, ს. პინტო, ნ. ჰერციგი, სიხონე, ლეივაკაბესი (ნემეტი 78), პლასენრიხი (ნოლი 83), რეგეკამპფი (ფაილი 73), დუმი, როსლერი, შლაუდრაფი, ებერსი
მწვრთნელი: მიხაელ ფრონცეკი
კოტბუსი: პიპლიცა, შოკელი (შელესი 46), მაკენა, მიტრესკი, ციბიგი, თ. როსტი, კუკიელკა, რადუ, გუნკელი (შაო 72), მუნტიანუ (ბაუმგარტი 86), კიოიო
მწვრთნელი: პეტრიკ სანდერი
გაფრთხილება: რეგეკამპფი, მიტრესკი, პინტო, შოკელი, მუნტიანუ
მსაჯი: ვაკი
19 873 მაყურებელი

**ბრემენული** მუსიკისა და გელზენკირხენული ხუმრობის დრო მოსულა ბუნდესლიგაში — „ვერდერი" და „შალკე" ხელიხელგადახვეულნი ლიდერობენ ჩემპიონატს.

ათი წუთი დასჭირდა „შალკეს" „ჰანოვერის" კარში ორი გოლის გასატანად. პირველი გოლისას სტუმართა მეკარე რობერტ ენკე შეცდა, ვერ შესწვდა საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს, რომელიც ზლატან ბაირამოვიჩის ფეხთან აღმოჩნდა და ახლოდან გაიტანა.

ეს თუ მეკარის ბრალი იყო, მეორე გოლი „შალკემ" კლასის ხარჯზე შექმნა — „ჰანოვერს" ბურთი დაუმალეს, რამდენიმე პასი მიაბეს ერთმანეთს და ბოლოს ლევან კობიაშვილმა ათიოდ მეტრიდან ცაციით შეაგდო.

შესვენების შემდეგ სტუმრებს უფრო დიდხანს ჰქონდათ ბურთი, მაგრამ მხოლოდ ერთი კოხტა გოლით უპასუხეს მასპინძლებს — იან როზენტალმა 25 მეტრიდან ისეთი დაჰკრა, ფრანკ როსტი პირლია დატოვა.

ლუსიო — აი, კაცი, რომელიც მარცხენა ფეხზე იყო ამდგარი და სამი გოლი მიართვა... ოლივერ კანს. ჯერ დიეგოს არ შეუშალა ხელი და ლამის ხალიჩა დაუგო, ისე მიაცილა კარამდე. „ვერდერის" ბრაზილიელმაც დაარტყა და ბურთი ხარიხიდან კარში ჩაეშვა — 1:0. შემდეგ პიერ ვომემ შეასრულა საჯარიმო და მის დარტყმულს ისე უშნოდ დაუხვედრა ფეხი ლუსიომ, რომ კანი დაიბნა და 2:0.

„ბაიერნმა" შეტევაში თამაში ვერაფრით დაალაგა. „სპორტინგთან" ნაბრძოლი გუნდი მოედანზე დაზოზინობდა, თუმც ერთი გოლის გაქვითვა მაინც მოახერხა, როი მაკაიმ ექვსი მეტრიდან შეაგდო.

მეორე ტაიმშიც ვერაფერი შეცვალა ფელიქს მაგათმა, რომელიც სიმწრისგან იღიმებოდა. ალი ქარიმისა და ჰასან სალიჰამიჯიჩის შესვლამ „ბაიერნი" ვერ გააცოცხლა. ლუსიომ კი მესამე გოლი თავად გაიტანა — მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი კანისგან მარცხენა დაბალ კუთხეში შევარდა და მისი ნახტომიც ამაო გამოდგა.

„თუ ასე გავაგრძელებთ თამაშს, ჩემპიონებიც გავხდებით" — თქვა ბრემენელმა ტორსტენ ფრინგსმა, ხოლო თომას შააფმა განაცხადა: „ძალიან ძლიერ გუნდის წინააღმდეგ შემტევი ფეხბურთი ვითამაშეთ, რამაც გაამართლა. ცხრილის თავში ვართ და ეს უფრო გვმატებს პასუხისმგებლობას. კიდევ ბევრი უნდა ვიშრომოთ, რათა ნაჯაფი წყალში არ ჩავყაროთ."

ფელიქს მაგათი: „ვერდერმა" დამსახურებულად იმარჯვა, რადგან თავიდანვე გვაჯობა. მეტოქეს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გავუწიეთ, ლუსიოს ავტოგოლმა კი საბოლოოდ მოკლა ჩვენი იმედი."

ბერლინში, სადაც „ჰერტამ" „გლადბახს" უმასპინძლა, პირველ ტაიმში ფეხბურთის მაგვარი ითამაშეს, ხოლო მეორეში კარგი ფეხბურთი გაჩაღდა. მარცხენა ფლანგიდან ოკორონკვომ პანტელიჩს მიაწოდა, მან კი პოლ დარდაის დაუგორა, რომელმაც ბუნდესლიგაში მე-200 მატჩი გოლით გაილამაზა. ექვსი წუთის შემდეგ ტობიას ლეველსმა კარგი მომენტი ვერ გამოიყენა, სამაგიეროდ, ოლივერ ნოივილმა შეირგო ოლივერ კირხის პასი და ახლოდან გაუტანა ფიდლერს. სტუმართა სიხარული ათ წუთს გაგრძელდა, მერე კი მირკო პანტელიჩმა საუცხოო გოლი შეაგდო: საჯარიმოს კიდესთან მიიღო ბურთი, სამი მცველი გააბითურა და მეკარე კეისი კელერიც უსაქმოდ დატოვა.

**მაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერდერი | 8 | 5 | 1 | 2 | 21:10 | 16 |
| შალკე | 8 | 5 | 1 | 2 | 11:8 | 16 |
| ჰერტა | 8 | 3 | 4 | 1 | 14:9 | 13 |
| ბაიერნი | 8 | 4 | 1 | 3 | 12:10 | 13 |
| ნიურნბერგი | 8 | 2 | 6 | 0 | 10:6 | 12 |
| ალემანია | 8 | 4 | 0 | 4 | 14:12 | 12 |
| დორტმუნდი | 8 | 3 | 3 | 2 | 11:10 | 12 |
| შტუტგარტი | 8 | 3 | 3 | 2 | 14:14 | 12 |
| გლადბახი | 8 | 4 | 0 | 4 | 10:11 | 12 |
| არმინია | 8 | 3 | 2 | 3 | 11:10 | 11 |
| კოტბუსი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:12 | 11 |
| აინტრახტი | 8 | 1 | 7 | 0 | 11:9 | 10 |
| ჰამბურგი | 8 | 1 | 5 | 2 | 10:11 | 8 |
| ლევერკუზენი | 8 | 2 | 2 | 4 | 11:13 | 8 |
| მაინცი | 8 | 1 | 4 | 3 | 7:11 | 7 |
| ვოლფსბურგი | 8 | 1 | 4 | 3 | 5:9 | 7 |
| ჰანოვერი | 8 | 1 | 3 | 4 | 9:18 | 6 |
| ბოხუმი | 8 | 1 | 2 | 5 | 7:16 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| გომეში (შტუტგარტი) | 5 |
| პანტელიჩი (ჰერტა) | 5 |
| მუნტიანუ (კოტბუსი) | 5 |
| კაჰე (გლადბახი) | 4 |
| შლაუდრაფი (ალემანია) | 4 |
| სანოგო (ჰამბურგი) | 4 |
| მაკაი (ბაიერნი) | 4 |
| დიეგო (ვერდერი) | 4 |
| ამანატიდისი (აინტრახტი) | 4 |

### IX ტური

28 ოქტომბერი

ჰამბურგი : ჰანოვერი
ნიურნბერგი : დორტმუნდი
შტუტგარტი : შალკე
გლადბახი : ლევერკუზენი
მაინცი : ვერდერი
არმინია : ალემანია
ბოხუმი : ვოლფსბურგი
კოტბუსი : ჰერტა
ბაიერნი : აინტრახტი

## მეორე ბუნდესლიგა
### VIII ტური

ფრაიბურგი — ბურგჰაუზენი 2:0; ფიურტი — დუისბურგი 3:5; კარლსრუე — კარლ ცაისი 4:1; უნტერჰახინგი — კიოლნი 0:0; აუე — ბრაუნშვაიგი 3:0; ჰანზა — ოფენბახი 2:1; მიუნხენი — კაიზერსლაუტერნი 0:1; ესენი — პადერბორნი 2:2. კობლენცი — აუგსბურგი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰანზა | 8 | 6 | 2 | 0 | 11:3 | 20 |
| კარლსრუე | 8 | 5 | 3 | 0 | 20:9 | 18 |
| ლაუტერნი | 8 | 5 | 1 | 2 | 13:8 | 16 |
| დუისბურგი | 8 | 4 | 3 | 1 | 16:11 | 15 |
| კიოლნი | 8 | 4 | 2 | 2 | 15:8 | 14 |
| მიუნხენი | 8 | 3 | 3 | 2 | 9:5 | 12 |
| პადერბორნი | 8 | 3 | 3 | 2 | 9:8 | 12 |
| კობლენცი | 7 | 3 | 1 | 3 | 11:10 | 10 |
| აუე | 8 | 3 | 1 | 4 | 10:14 | 10 |
| ესენი | 8 | 2 | 3 | 3 | 10:9 | 9 |
| ფიურტი | 8 | 2 | 2 | 4 | 15:15 | 8 |
| ფრაიბურგი | 8 | 1 | 5 | 2 | 9:11 | 8 |
| აუგსბურგი | 7 | 2 | 2 | 3 | 5:7 | 8 |
| უნტერჰახინგი | 8 | 1 | 4 | 3 | 5:6 | 7 |
| კარლ ცაისი | 8 | 1 | 4 | 3 | 11:17 | 7 |
| ოფენბახი | 8 | 1 | 3 | 4 | 7:12 | 6 |
| ბრაუნშვაიგი | 8 | 1 | 3 | 4 | 5:13 | 6 |
| ბურგჰაუზენი | 8 | 1 | 1 | 6 | 5:20 | 4 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
### XII ტური

დიუსელდორფი — უნიონი 2:1; ოსნაბრიუკი — ვილჰელმშავენი 2:0; ალენი — ლევერკუზენი (მ) 1:1; დინამო — ვერდერი (მ) 1:4; კილი — ზანკტ პაული 1:2; მაგდებურგი — ლიუბეკი 0:2; მიონხენგლადბახი (მ) — ემდენი 2:3; ერფურტი — ჰერტა (მ) 2:1; ვუპერტალი — დორტმუნდი (მ) 2:1

## სამხრეთ რეგიონალლიგა
### XII ტური

კაიზერსლაუტერნი (მ) — შტუტგარტი (მ) 0:2; კიკერსი — ბაიერნი (მ) 1:1; მიუნხენი (მ) — როიტლინგენი 0:0; ელვერსბერგი — პფულენდორფი 2:3; ჰოფენჰაიმი — ზაარბრიუკენი 4:0; კარლსრუე (მ) — ინგოლშტადტი 1:0; ვეჰენი — პირმასენსი 5:0; ჰესენი — ზიგენი 3:3. აალენი — დარმშტადტი გადაიდო

# იტალია

## სერია A
## VII ტური

### მილანი 0:2 პალერმო

0:1 ბრეშიანო (48), 0:2 ამაური (74)
**მილანი:** დიდა, კაფუ, ნესტა, კალაძე, იანკულოვსკი (მალდინი 64), გატუზო (ბროკი 73), პირლო, ზეედორფი (რ. ოლივეირა 78), კაკა, ჯილარდინო, ფ. ინძაგი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
**პალერმო:** ფონტანა, ბიავა (კაპუანო 77), ბარძალი, ძაკარდო, დიანა (ჯოვანი ტედესკო 82), სიმპლისიო, კორინი, გუანა, ბრეშიანო, დი მიკელე (კასანი 68), ამაური
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: ბიავა, გატუზო, კორინი, დიანა
მსაჯი: როკი
65 000 მაყურებელი

### უდინეზე 0:0 ინტერი

**უდინეზე:** დე სანქტისი, დ. ძენონი, ნატალი, საპატა, დოსენა, ობოდო, პინცი, პ. ბარეტო (დე მარტინო 77), დი ნატალე, მონტიელი (გ. დაგოსტინო 46), იაკინტა
მწვრთნელი: ჯოვანი გალეონე
**ინტერი:** ჟულიო სეზარი, ხ. ძანეტი, კორდობა, მატერაცი, გროსო, ფიგუ, ვიეირა, დაკური (მაიკონი 67), სტანკოვიჩი, კრესპო (კრუზი 54), იბრაჰიმოვიჩი (რეკობა 82)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: კორდობა, სტანკოვიჩი, ობოდო, პინცი, ფიგუ
მსაჯი: პიერი
20 000 მაყურებელი

### რომა 1:1 კიევო

0:1 პელისიერი (40), 1:1 ტოტი (66)
**რომა:** ა. დონი, პანუჩი, ფერარი, კივუ, ტონეტო (კასეტი 89), დე როსი, ტადეი (ვუჩინიჩი 63), პეროტა, აკვილანი (დ. პიზარო 56), ტოტი, მონტელა
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
**კიევო:** სიჩინიანო, ფ. მორო, მანდელი, მანტოვანი (დანა 24), ლანა, ლუსიანო, ბრიგი, სამარკო (მარკოლინი 62), ძანკეტა, სემიოლი, პელისიერი (ტირიბოკი 59)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: ძანკეტა, სიჩინიანო
მსაჯი: დონდარინი
35 000 მაყურებელი

### ატალანტა 3:2 სამპდორია

0:1, 0:2 კალიარელა (4, 11), 1:1, 1:2 დონი (38პ, 85პ), 3:2 ძამპანა (89)
**ატალანტა:** კალდერონი, ადრიანო (ვენტოლა 65), ტალამონტი, ლორია, ბელინი, არიატი, ბერნარდინი, მილიაჩო, ტისონე (ფერეირა პინტუ 74), კ. დონი (დონატი 87), ძამპანა
მწვრთნელი: სტეფანო კოლანტუონო
**სამპდორია:** კასტელაცი, კ. ძენონი, სალა, ფალკონე, პიერი, ჯ. დელვეკიო, ვოლპი, პალომბო, დ. ფრანჩესკინი (პაროლა 62), ბონაცოლი (ბაცანი 69), კალიარელა (რ. ოლივერა 72)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: არიატი, კალიარელა, სალა, ფალკონე, ძენონი, დელვეკიო
მსაჯი: რომეო
12 000 მაყურებელი

### ლივორნო 0:0 სიენა

**ლივორნო:** ამელია, გრანდონი, კუფური, გალანტე, ბალერი, მორონე, პასკონი, ა. ფილიპინი, პფერცელი, ბაკაიოკო (დანილევიჩუსი 65), კ. ლუკარელი
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
**სიენა:** მანინგერი, ბერტოტო, ნეგრო, რინაუდო, მოლინარო, კონკო (ალბერტო 62), დავერსა, ვერგასოლა, ანტონინი (ბრევი 79), ლოკატელი (ბოგდანი 28), ფრიკი
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
გაფრთხილება: მორონე, ფილიპინი, ანტონინი, ფრიკი, გრანდონი
მსაჯი: გირარდი
8 646 მაყურებელი

### კატანია 3:1 ლაციო

1:0 კოლუჩი (36), 2:0 სპინეზი (45), 3:0 კოლუჩი (53), 3:1 როკი (56)
**კატანია:** პანტანელი, კ. სილვესტრი, სტოვინი, სოტილი, ხ. ვარგასი, ბაიოკო, ედუსეი, კაზერტა, ჯ. კოლუჩი (მილეზი 85), სპინეზი (კორონა 79), მასკარა
მწვრთნელი: პიერლუიჯი მარინო
**ლაციო:** პერუცი, ბელერი, სტენდარდო, სივილია, ძაური, კ. მანფრედინი (მუდინგაი 58), მუტარელი, ბარონიო, მაური (ფოჯა 46), პანდევი (ტარე 65), როკი
მწვრთნელი: დელიო როსი
გაფრთხილება: სტოვინი, ბარონიო, ვარგასი, როკი, ფოჯა
მსაჯი: მესინა
უმაყურებლოდ

# რომას პირისგან ნიხლი ეწყინა

### ფიორენტინა 3:0 რეჯინა

1:0 მუტუ (30), 2:0 სანტანა (43). 3:0 ბლაზი (55)
**ფიორენტინა:** ფრეი, უიფალუში, დაინელი (გამბერინი 18), კროლდრუპი, პასკუალი, ბლაზი (მონტოლივო 68), ლივერანი, პაზიენცა (გობი 47), სანტანა, ტონი, მუტუ
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
**რეჯინა:** პელიცოლი, ლანძარო, ა. ლუკარელი, არონიკა, მესტო, ამერინი, ჯოვანი ტედესკო (კარობიო 68), მოდესტო, ლეონი (ესტევესი 54), ნ. ამორუზო, ბიანკი (რიოსი 66)
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
გაფრთხილება: ლეონი, ბლაზი, მუტუ
მსაჯი: მარელი
28 960 მაყურებელი

### პარმა 1:0 ასკოლი

1:0 ბუდანი (10)
**პარმა:** დე ლუჩია, კოლი, პაჩი, კონტინი, პ. კასტელინი (ბოკეტი 51), კიარამიტარო, გრელა, პიზანუ, მორფეო, გასბარონი (კარდონე 68), ბუდანი (მუსლიმოვიჩი 60)
მწვრთნელი: სტეფანო პიოლი
**ასკოლი:** პალიუკა, ნასტასე, კუდინი, პეკორარი, ლუკოვიჩი, ჟობი, ბუდიანსკი, პეკია (პაოლუჩი 54), ჯალოპა, ფინი (პესკე 65), მ. დელვეკიო (ბიელანოვიჩი 54)
მწვრთნელი: ატილიო ტესერი
გაფრთხილება: ბუდიანსკი, ჟობი, კიარამიტარო, გრელა, პიზანუ
მსაჯი: ლოპსი
12 814 მაყურებელი

### კალიარი 0:0 ტორინო

**კალიარი:** კიმენტი, ფ. პიზანო, დ. ლოპესი, ბიანკო, აგოსტინი, ბიონდინი, ბუდელი (კაპონე 87), ლ. კოლუჩი, მ. ესპოზიტო (ლანჯელა 80), სუაცო, პეპე (ა. დაგოსტინო 56)
მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო
**ტორინო:** აბიატი, დი ლორეტო, ბრევი, ი. ფრანჩესკინი, კომოტო, ბარონე (გალო 86), დე აშენტისი, პანკარო, როზინა (ლაზეტიჩი 60), ფიორე (მუსიჩი 78), სტელონე
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: ფრანჩესკინი, დი ლორეტო, პანკარო, ბრევი
მსაჯი: ტალიავენტო
15 000 მაყურებელი

### მესინა 2:2 ემპოლი

1:0 რიგანო (9), 1:1 საუდატი (32), 2:1 ოგასავარა (50), 2:2 ბუშე (64)
**მესინა:** სტორარი, ლავეკია (მორელო 74), ძანკი, იულიანო (ზორო კპოლო 46), რეა, ე. ალვარესი, დე ვიეა ოგასავარა, მასიელო, დი ნაპოლი (ფლოჩარი 85), რიგანო
მწვრთნელი: ბრუნო ჯორდანო
**ემპოლი:** ბალი, მარცორატი (ფიჩინი 61), ადანი, პრატალი, რაჯი, დ. მორო, მარიანინი, ბუშე, ვანუკი, მატეინი (ბალდანცედუ 54; ბუცეგოლი 86), საუდატი
მწვრთნელი: ლუიჯი კანი
გაფრთხილება: დი ნაპოლი, ძანკი, ლავეკია, ბუშე
მსაჯი: გავა
12 000 მაყურებელი



ტოტიმ სეზონში პირველად გაიტანა

**ტურის** ცენტრალური მატჩი „უდინეზესა“ და „ინტერს“ შორის ულიმღამო გამოდგა. ორივე გუნდი ზედმეტად ფრთხილობდა და რეალური საგოლე მომენტი არც შექმნილა. ტერიტორიულ უპირატესობას „ნეროაძური“ ფლობდა და ალაგ-ალაგ მწვავედაც უტევდა ხოლმე, მაგრამ ფრე ლოგიკური შედეგი გახლდათ.

მეორე ტაიმი პირველთან შედარებით გახსნილი გამოდგა. ლუიშ ფიგუს ორ სახიფათო დარტყმულს მასპინძელთა მცველი აღუდგა წინ, ხოლო ზლატან იბრაჰიმოვიჩს ორჯერ მორგან დე სანქტისმა აუღო.რობერტო მანჩინიმ ერნან კრესპო ხულიო რიკარდო კრუზით, ხოლო იბრაჰიმოვიჩი ალვარო რეკობათი შეცვალა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყვა. უდინელთა რიგებში კი ყველაზე აქტიური ვინჩენცო იაკინტა გახლდათ.

პირველ ადგილზე გადასვლის შანსი დაკარგა „რომამ“. „კიევოს“ მწვრთნელად დაბრუნებული ლუიჯი დელ ნერის ხელი „მფრინავ ვირებს“ პირველივ მატჩში დაეტყოთ. დელ ნერიმ ასევე ყოფილ გუნდს „სტადიო ოლიმპიკოზე“ ქულა აართვა და ვერონელებს ხუთმატჩიანი წაგებების სერია შეაწყვეტინა.

„რომა“ დებიუტიდანვე მიეძალა მეტოქეს, მაგრამ ვერაფერს გახდა, თუმცა ფრანჩესკო ტოტის საეჭვო თამაშგარე დაუფიქსირეს და გოლი არ ჩაუთვალეს. მე-40 წუთზე კი სერჯიო პელისიერიმ ორი მცველი ჩამოიტოვა მეკარითურთ და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა.

სტუმრები ანგარიშს 66-ე წუთამდე ინარჩუნებდნენ, მაგრამ „რომამ“ ბოლოს და ბოლოს გატანა შეძლო. ტოტის გოლი დავიდ პიზაროს დარტყმულს მოჰყვა. ეს ამ სეზონში სერია A-ში დედაქალაქელთა კაპიტნის პირველი გატანილი ბურთია. „რომა“ იერიშებს აგრძელებდა და რამდენიმე მომენტიც გაანიავა. კრისტიან პანუჩიმ შეაგდო კიდეც, მაგრამ კვლავ თამაშგარეს მიზეზით არ ჩაუთვალეს. ისევე, როგორც სტუმართა ფორვად სიმონე ტირიბოკის.

განსაკუთრებით დაძაბული ბოლო წუთები გამოდგა. „რომას“ სამი კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ არ გაუმართლა. ერთხელ მიზანთან ახლოს ტრავმამოშუშებული მირკო ვუჩინიჩი იყო, რომელიც 63-ე წუთზე შევიდა და გლადიატორთა რიგებში თავისი პირველი მატჩი ჩაატარა, ბოლო წამებზე კი სტუმრებს მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ დონისთან პირისპირ დარჩენილმა ტირიბოკიმ მეკარეს ვერ აჯობა.

